პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
სამშაბათი
25 ნოემბერი
№ 270 (17913)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთწლედი 20 დეკემბრისათვის!

ბიბლიოთეკა

ტრანსპორტელთა ნობათი

ჭიათურა. (საკ. კორ.) მანგანუმის სამთამადნო კომბინატის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა ხუთწლედის დასაწყისიდან 52.300 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდა და ამით მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიში გახსნა. წლის ბოლომდე საწარმოს მუშაკები გეგმის გადამეტებით 2 მილიონ ტონა ტვირთს გადაზიდავენ.

სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მძღოლები თ. კუკუნაძე, ს. ჯაჯანიძე, გ. ღუღუნიშვილი, ბ. გოგატიშვილი და სხვები.

ჭიათურელი ტრანსპორტელები აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს რესპუბლიკის ყველა კომუნისტისა და მშრომელისადმი საქართველოს კომპარტიის მომავალ XXVI ყრილობასთან დაკავშირებით. ისინი ეძიებენ ახალ რეზერვებს მაღალეფექტიანი საბოლოო შედეგების მისაღწევად.

კვების მრეწველობის მუშაკთა პატივსაცემად

საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი აღმართეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორია დაეთმო რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა მრავალათასიან კოლექტივს, რომელმაც ვადამდე შეასრულა მეათე ხუთწლედი, და იმათ, ვინც მოვიდა. მათ პატივსაცემად.

გამოფენის მთავარ პავილიონში აღმართულ ტრიბუნაზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ჩხეიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ზ. მესხიშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია.

საზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა კვების მრეწველობის მუშაკთა შრომითს გამარჯვებას, გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ჩხეიძემ.

— სასიხარულოა, — აღნიშნა მან თავის გამოსვლაში, — რომ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა რეალიზაციაში თავიანთი დიდი წვლილი შეიქვთ ჩვენი რესპუბლიკის მეტად მნიშვნელოვანი დარგის — კვების მრეწველობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ თ. ჯაბადარმა მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას, აღუთქვა, რომ მეათე ხუთწლედში მიღწეულ გამარჯვებებს განაგრძობენ მეთერთმეტე ხუთწლედში.

კვების მრეწველობის მუშაკებს მიესალმნენ თბილისის მაკარონის ფაბრიკის დირექტორი თ. თეოდორაძე, გორის რაიონის ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ოლოლიჯაშვილი, მარნეულის ეთერნეოთოგანთა საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის ბრიგადირი ა. გუსეინოვი, თბილისის № 75 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ი. ბელია.

კვების მრეწველობის შრომითმა კოლექტივებმა გადაწყვიტეს 1981 წლის ორი თვის გეგმა შეასრულონ სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების ჰანგებზე აღმართა რესპუბლიკის ალამი საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს გამარჯვებული კოლექტივების პატივსაცემად. (საქინფორმი).

ჩვენი შრომის ნაყოფიერება

სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლედი ფინიშს უახლოვდება. ხუთწლედის დამდეგიდან განვლილი დრო ხალხის გამრჯე, აღმშენებლობითი შრომით აღინიშნა. ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელები ბეჯითად მუშაობდნენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მრეწველობის ბევრ დარგში შესამჩნევად ამაღლდა ორგანიზებულობა და დისციპლინა, გაუმჯობესდა ხარისხობრივი მაჩვენებლები, და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, იზრდება შრომის ნაყოფიერება.

სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის განვლილი პერიოდი მდიდარია შრომითი მამაცობის მაგალითებით. დღეს ჩვენს ხალხს უფლება აქვს იამაყოს მოწინავეთა მიღწევებით, ეფექტიანი მუშაობის თვალსაჩინო შედეგებით.

თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა, რომელსაც კომუნისტი ქალი ლუარა გვაჯაია ხელმძღვანელობს, სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებული მიმდინარე წლის 7 ნოემბრის ნაცვლად ოქტომბრის დასაწყისში შეასრულა ხუთწლიანი დავალება და ახლა იმისათვის იბრძვის, რომ მომხმარებელს წლის ბოლომდე დარჩენილ დღეებში დამატებით 14 მილიონი მანეთის ტანსაცმელი მიაწოდოს. მწყობრი რიტმით მუშაობენ მკერავები წლეულსაც. განვლილ ათ თვეში გეგმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით არის შესრულებული. რაც მთავარია, შრომის ნაყოფიერების ზრდის კმაშმა 111 პროცენტი, ხოლო გამოშვებული უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის ხვედრითმა წილმა პროდუქციის მთლიან მოცულობაში 50 პროცენტი შეადგინა.

მიმდინარე წლის მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით საწარმოს კოლექტივი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ზედიზედ მეცამეტჯერ დაჯილდოვდა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

მაგრამ მარტო ამ მაჩვენებლებით როდი შემოიფარგლება ფაბრიკის კოლექტივის მიღწევები. აქ დანერგილი წარმოების დაგეგმვისა და მართვის ორგანიზაციის ახალი სისტემა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილების საფუძველზე ხორციელდება, საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გამოიყენოს თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის შესაძლებლობანი, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის საკითხები წყდება კომპლექსურად, შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმები კოორდინირებულია მისი ანაზღაურების პროგრესულ სისტემასთან, კადრების პროფესიული სწავლებისა და დაწინაურების ღონისძიებებთან, რომლითაც მაღალ საბოლოო შედეგებს აღწევს.

დიდია ჩვენი წინსვლის შესაძლებლობანი, რეზერვები. მაგრამ, ისინი რომ გამოვიყენოთ, საჭიროა ავამაღლოთ წარმოების მართვის დონე შრომის ნაყოფიერების მაქსიმალური შედეგის მისაღწევად, აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ შრომითი კოლექტივების შეფასების დროს სამინისტროებმა და უწყებებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ რა გზით არის უზრუნველყოფილი წარმოების განვითარება, და უწინარეს ყოვლისა, წაახალისონ ისინი, ვინც მისი ინტენსიფიკაციის გზას ადგას.

შრომის ნაყოფიერების მაჯნებს, რომლებიც მეათე ხუთწლედმა გამოაზღვრა, უწინარეს ყოვლისა შეიძლება მივაღწიოთ შრომითი და მატერიალური დანახარჯების შემცირების, ხელის შრომის მეკანიზებული შრომით შეცვლის საფუძველზე. სწორად იქცევიან იქ, სადაც აქტიურად ნერგავენ პირად შემოქმედებითს გეგმებს, შრეკანელთა პროგრესულ მეთოდს დევიზით: „ნაკლები პერსონალით — მეტი პროდუქციას!", განამტკიცებენ თანამეგობრობას სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებთან, ქმნიან კომპლექსურ ბრიგადებს, რომლებსაც შეუძლიათ გადაწყვეტონ წარმოების ტექნიკური განახლების ძირეული საკითხები.

საქმისადმი ასეთმა მიდგომამ განაპირობა სწორედ, რომ მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში რესპუბლიკის ბევრ საწარმოში სამრეწველო პროდუქციის მთელი მატება შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მოხდა.

ასეთი სამრეწველო კოლექტივების ხვედრითი წილი, მაგალითად, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემაში 56,8 პროცენტია, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 45 პროცენტი, „სამტრესტში"—43,6, ხოლო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში—40,7 პროცენტი, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წლის დამდეგიდან შრომის ნაყოფიერების ზრდა შეამცირა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა 18,2 პროცენტმა, ანუ 156 საწარმომ, მათ შორის ისეთმა საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო გაერთიანებებმა და საწარმოებმა, როგორიც არის „საქქვანახშირი", მარნეულის სამთომამდიდრებელი და ჰიაფორის სამთამადნო კომბინატები, რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური, თბილისის ე. პატონის სახელობის ელექტროშესადუღებელი დანადგარების, საინსტრუმენტო, ჟუთაისის ელექტრომექანიკური, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნების კოლექტივები.

რესპუბლიკის ცალკეულ საწარმოებში წარმოების მოცულობის ზრდა მიღწეულია ექსტენსიური ფაქტორების ხარჯზე. ასე, მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულში" იანვარ-ოქტომბერში წარმოების მოცულობის მთელი მატება მიღწეულია სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რაოდენობის ზრდით. ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში", მარნეულის საკონსერვო კომბინატში, წალკის მეთაფარ უველ-კარაქის ქარხანაში, სამტრედიის პურკომბინატსა და სხვა საწარმოებში.

უფრო მეტიც, არის ისეთი საწარმოებიც, რომლებმაც სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რაოდენობის ზრდის მიუხედავად შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შეამცირეს წარმოების მოცულობა. მაგალითად, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხშენებელში" 4 პროცენტით გაზარდეს სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რაოდენობა, სამაგიეროდ 8,4 პროცენტით შეამცირეს წარმოების მოცულობა. ამგვარი მდგომარეობაა ზესტაფონის ფერროშენადნობთა და ხაშურის მინის ქარხნებში, სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში და სხვა.

ახლა, როცა იწურება მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი და დიადი საბჭოთა ქვეყნის მშრომელები იბრძვიან ღირსეულად აღნიშნონ სკკპ XXVI ყრილობა, საჭიროა გავაძლიეროთ მასების შრომითი აქტიურობა, კიდევ უფრო გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, მიზნად დავუსახოთ მას ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, ყოველმხრივ დაუჭიროთ მხარი და გავავიწროთ მოწინავე გამოცდილება. არ უნდა დავზოგოთ ძალ-ღონე მიმდინარე სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

სამრეწველო პროდუქციის 41 პროცენტით ზრდის ტემპის მეათე ხუთწლიანი გეგმა რესპუბლიკამ უთუოდ უნდა შეასრულოს! ახლა საქმე ის არის, რომ ხუთი წლის გეგმა შესრულდეს 20 დეკემბრისათვის. საამისოდ ყველა შესაძლებლობა არის, ასეთია ახლა რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახრძოლო ამოცანა., რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმმა დაგვისახა.

როგორც ცნობილია, კვირას პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის ყველა კომუნისტისა და მშრომელისადმი საქართველოს კომპარტიის მომავალ XXVI ყრილობასთან დაკავშირებით. რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკების, მეცნიერების, სპეციალისტების, კულტურის დარგის მოღვაწეთა მიზნობრივი ჯგუფები ახლა მუშაობენ იმ წინადადებებსა და რეკომენდაციებზე, რომელთა საფუძველზე საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა შეიმუშავებს რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროგრესის კომპლექსურ პროგრამას მეთერთმეტე ხუთწლედისათვის.

და აი, ამ ეტაპზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო მშრომელებო, გამოთქვათ თქვენი სურვილები, საქმიანი წინადადებები. ჩვენ ღრმადვართ დარწმუნებული, რომ საბჭოთა საქართველოს ყოველი მოქალაქე, რომლის საქმიანობა განუყოფელია პარტიისა და ხალხის შრომითი მაჯისცემისაგან, რომელიც ღვიძლად არის დაინტერესებული თავისი რესპუბლიკის შემდგომი პროგრესით, ამ პროგრამის თანაავტორი გახდება.

მანქანები კვების მრეწველობისათვის

ბათუმის მანქანათმაშენებელი ქარხანა კვების მრეწველობისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობის დამზადებაზეა დახელოვნებული. საწარმოს თავისი პროდუქცია არაერთხელ უჩვენებია საერთაშორისო გამოფენებზე.

საქართველოში არ მოიპოვება ისეთი ჩაის ფაბრიკა, სადაც არ მუშაობდეს ბათუმური მანქანები. სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს მინიჭებული ქარხნის მიერ გამოშვებულ ვერტიკალურ ღვინის საცავებს. ისინი ხელს უწყობენ საწარმოო ფართობების რაციონალურ გამოყენებას. სიპატიო ხუთკუთხა ნიშნიანია ჩაის საშრობი ღუმელიც. საწარმოს ასორტიმენტში ბევრი მოწყობილობაა საკონსერვო ქარხნების, საქრის მრეწველობის ნაკადური ხაზებისათვის.

ამჟამად საწარმოში ფართოდაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

● ●

სურათებზე: ხილსაწმენდი მანქანების ასაწყობი უბანი; მოწინავე მექვაბეები-შემდღელებები რომან ორაგველიძე და ბადრი ქორიძე. ახლა ისინი შრომობენ მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის კაცსუნად

გზა-სიახლეებს!

ჩვენ, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ფართო მოხმარების საქონლის უბნის კოლექტივმა, განვიხილეთ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის ყველა კომუნისტისადმი, ყველა მშრომელისადმი საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება მივაპყრეთ წერილის იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს სსრ მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროგრესის პროგრამა სრული, ყოველმხრივ შემოწმებული, მეცნიერულად დასაბუთებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ მასში კონკრეტულად აისახება რესპუბლიკის მოსახლეობის, მისი ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი და ინტერესები.

უკვე ახლა ჩვენი კოლექტივი წარმატებით ასრულებს დავალებებს და ჩვენს მიერ გამოშვებულ ფართო მოხმარების პროდუქციაზე მომხმარებელთა დიდი მოთხოვნაა. მეთერთმეტე ხუთწლედში, საწარმოს რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება ათჯერ გაიზრდება, ამიტომ საჭიროა წინასწარ მოვემზადოთ ამისათვის, უპირველეს ყოვლისა უნდა მოვსპოთ მრავალსაფეხურიანობა, რომელიც არსებობს პროექტის შემუშავებიდან ნაკეთობის გამოშვების დაწყებამდე.

საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოთა შემუშავებისა და წარმოებაში გადაცემის სისტემა, მაგალითად, ჩვენს ქარხანაში შვიდ პუნქტს შეაცავს, თუ არ ჩავთვლით ატესტაციის ხარისხის ნიშნზე. აქ შედის კიდევ რვაპუნქტიანი ტექნიკური დავალების შეთანხმება, საესკიზო და ტექნიკური პროექტების შემუშავება, შეთანხმება და დამტკიცება — და ა. შ. მიმღები კომისიის შემადგენლობაში, როგორც წესი, არიან ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მდებარე ორგანიზაციის წარმომადგენლები. ყოველივე ეს ძალზე ართულებს სიახლეების დანერგვას, მომხმარებლისათვის ტექნიკურად და გარეგნულად თანამედროვე, მოდელი რაც შეიძლება სწრაფი მიწოდება კი ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა.

პარტია დიდ ყურადღებას უთმობს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მისი ერთ-ერთი ასპექტი კი ფართო ასორტიმენტის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებაა. რაღა თქმა უნდა, კონტროლი საჭიროა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ახალი მოდელების დანერგვა მეტისმეტად ბევრ დროს მოითხოვს და ეს სისტემა გადასასინჯია. სასურველია, რომ ყრილობის დელეგატებმა ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ და შესაბამისი გადწყვეტილება მიიღონ.

რ. გზნიკაძე,
თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის სახალხო მოხმარების საქონლის საკონტროლო-ტექნოლოგიური განყოფილების უფროსი. (საქინფორმი).

თეატრის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა

28 ნოემბერს ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მეთოლიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. დ. ალექსიძე დაესწრნენ თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური თეატრის სპექტაკლს — ჯ. პატრიკის „უცნაური მისიის სევიჯი".

ე. ა. შევარდნაძე შეხვდა ამ უძველესი თეატრის — სომხური, ქართული და საზღვარგარეთული კლასიკის, თანამედროვე დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებთა პროპაგანდისტის — ხელმძღვანელებს, საუბრის დროს შეეხნენ თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკის საკითხებს, კადრების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემებს. ყურადღება მიექცა საბჭოთა თეატრალური ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვან, აქტუალურ ამოცანებს, — ცხოვრების მთელი მრავალფეროვნების ჩვენებას, თანამედროვეთა მკაფიო სახეების შექმნას, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეათა პროპაგანდას. თეატრი, აღინიშნა საუბრის დროს, მოწოდებულია აქტიურად ქადაგებდეს პარტიის იდეებს, ეხმაურებოდეს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას მის მრავალმხრივ საქმიანობაში და ამდიდრებდეს ადამიანის შინაგან სამყაროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს იმ დღეებში, როცა რესპუბლიკის მშრომელები ამთავრებენ მეათე ხუთწლედს, ემზადებიან სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მისი კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავის შესახვედრად.

თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური თეატრი, რომელიც სამი წლის შემდეგ აღნიშნავს თავის 125 წლის იუბილეს, პირველი ნაბიჯებიდანვე გახდა ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის ნამდვილი კერა. სწორედ აქ, მისი სცენიდან პირველად ალაპარაკდნენ გაბრიელ სუნდუკიანის „პეპოს" გმირები. გ. სუნდუკიანი ხომ საქართველოში ცხოვრობდა, უყვარდა იგი და ბევრი მგზნებარე სტრიქონიც მიუძღვნა მას. ამ თეატრის სცენაზე გამოსულან სასცენო ხელოვნების ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორიც იყვნენ სირანუში, ვახან ფაფაზიანი, აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი და სხვები. თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი ყოველთვის გრძნობდა თვალსაჩინო ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მხრუნველობას, მისი ბედ-იღბლით დაინტერესებას.

ეს ტრადიციები გრძელდება, ისინი იძენენ ახალ ელფერადობას, ივსებიან ახალი შინაარსით.

ახლა თეატრი მუშაობს ა. ბარსაღიანის „კამოსა" და მ. ბარათაშვილის ახალი პიესის დადგმაზე, რომლებიც ეძღვნება სკკპ XXVI ყრილობას, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას და საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავს. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ვაგონების მოცდენა ზარალს აყენებს სახელმწიფოს

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ვაგონების მოცდენის ნორმების დაცვას, მათი ტვირთამფრენობის სრულ გამოყენებას და სავაგონო პარკის მოვლა-შენახვის უზრუნველყოფას.

მაგრამ რესპუბლიკის უწყება-სამინისტროთა მთელ რიგ ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნები მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთგზის გააფრთხილა ისინი, რომ პერსონალურად აგებენ პასუხს ვაგონების მოცდენისათვის. მაგალითად, სოფლის მეურნეობის და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებისათვის არაერთგზის მიუთითებიათ განეხორციელებინათ რადიკალური ღონისძიებანი ვაგონების გამოყენების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ აღნიშნული სამინისტროების ხელმძღვანელობამ უპასუხისმგებლობა გამოიჩინა და კვლავინდებურად არ იყენებს ვაგონებს დამაკმაყოფილებლად.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ მიმდინარე წლის 9 თვეში 23 739 ვაგონის გადმოტვირთვისას ნორმაზე მეტ ხანს დაყოვნება ისინი 208 954 ვაგონსაათით, რაც ბევრად აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. სამინისტროს სისტემაში შემავალი 23 მისასვლელი გზიდან მხოლოდ ოთხმა არ დაარღვია ვაგონების მოცდენის ნორმა. მინისტრის მოადგილე ამხ. შ. მ. ბეზარაშვილი, რომელიც პასუხს აგებს სატრანსპორტო საკითხთა გადაწყვეტისათვის, არ მიმართავს სათანადო ზომებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ვაგონების დროული გადმოტვირთვა და მათი მოცდენის შემცირება.

არ ასრულებს დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დროს ვაგონების მოცდენის ნორმას სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მიმდინარე წლის 9 თვეში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დატვირთვისას ნორმასთან შედარებით 61193 ვაგონსაათით დაყოვნეს 3514 ვაგონი, ანუ საერთო რაოდენობის 60 პროცენტი.

ორგანიზაციისა და ვაგონების მოცდენის ნორმების დაუცველობისათვის სკკპ წევრს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ამხ. ს. პ. ჯინჯიხაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

ამხ. შ. მ. ბეზარაშვილი და ამხ. ს. პ. ჯინჯიხაძე გაფრთხილებული არიან, რომ, თუ არ გამოიტანენ ჯეროვან დასკვნებს და ვერ აღმოფხვრიან ნაკლოვანებებს, მაშინ დაისმის თანამდებობაზე მათი შემდგომი დატოვებისა და პარტიაში ყოფნის საკითხი.

იმისათვის, რომ შეასუსტა მუშაობა სოფლის მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციებს მისამართით საერთო სარგებლობის გზაზე ჩამოსული ვაგონების გადმოტვირთვისათვის და არადამაკმაყოფილებელად ჰქონდა დაყენებული ტვირთის მიმღებთა ინფორმირების საქმე, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილე, სკკპ წევრი ამხ. ა. ა. კვანტალიანი, აღნიშნულია დადგენილებაში, მკაცრად დასჯის ღირსია, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ ამხ. ა. ა. კვანტალიანს უკვე დადებული ჰქონდა პარტიული სასჯელი, და გააფრთხილა იგი, რომ, თუ არ გამოიტანს შესაბამის დასკვნებს, დაისმის სამუშაოდან მისი მოხსნის საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ყოველად შეუწყნარებლად მიიჩნია, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო (ამხ. ლ. გ. ვარდოსანიძე), ზუსტი აღრიცხვა-ანგარიშგების უქონლობის გამო, დიდი ხანის არასწორ ინფორმაციას აწვდის ზემდგომ პარტიულ და სამეურნეო ორგანოებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისამართით ჩამოსული დატვირთული რკინიგზის ვაგონების მოცდენის შესახებ.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს დაეკვალა უზრუნველყოს დროული ინფორმაცია ტვირთის ჩამოსვლის შესახებ, ვაგონების რიტმული მიწოდება რესპუბლიკის უწყება-სამინისტროებისა და საწარმოებისათვის, ყოველნაირად გაუწიოს მათ პრაქტიკული დახმარება დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ორგანიზაციაში.

იმის გამო, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ტვირთზიდვის სამუშაოთა მოცულობა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ამხ. შ. მ. ეცადაშვილს) და ამიერკავკასიის რკინიგზას (ამხ. ლ. გ. ვარდოსანიძეს) წინადადება მიეცათ ერთად შეიმუშაონ საერთო სარგებლობის გზებზე ვაგონების გადმოტვირთვის საკუთარი საკოორდინაციოს უზრუნველყოფა ლონისძიებათა კონკრეტული გეგმა.

რესპუბლიკის უწყება-სამინისტროებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს დაეკალათ უზრუნველყონ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მაღალი ორგანიზაცია მისასვლელ გზებზე, სატვირთო სადგურებში და საერთო სარგებლობის გზებზე როგორც ღამით, ისე დასვენებისა და უქმე დღეებში.

აღინიშნა, რომ პარტიის გორის, კასპის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, ბაგრის, რუსთავის, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული სატრანსპორტო შტაბები და კომისიები (ამხ. რ. ვ. მაზმიშვილი, ე. ვ. შაველაშვილი, გ. ს. ზარიკაძე, მ. ა. ასლანიკაშვილი, შ. გ. ცარია, ლ. ი. გორგაძე) სხვა რეგიონებთან შედარებით არადამაკმაყოფილებლად იყენებენ ვაგონებს.

სატრანსპორტო კომისიებისა და შტაბების ამ და სხვა ხელმძღვანელებმა, რომლებსაც პერსონალური პასუხისმგებლობა აკისრიათ რეგიონში საქმის მდგომარეობისათვის, უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ვაგონების გამოყენების გასაუმჯობესებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა ყოველდღიური და შეუნელებელი კონტროლი დაუწესონ ადგილობრივი სატრანსპორტო კომისიებისა და შტაბების მუშაობას რკინიგზის ვაგონების მოცდენის შესამცირებლად, თავიანთი ბიუროების სხდომებზე, სისტემატურად განიხილონ საქმის ვითარება, პარტიული პასუხი მოსთხოვონ იმ პირთ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ვაგონების არადამაკმაყოფილებელ გამოყენებაში.

დასახულია აგრეთვე რკინიგზის ვაგონების მოცდენის შემცირების, მათი ტვირთამწეობის უკეთ გამოყენებისა და სავაგონო პარკის მოვლა-შენახვის უზრუნველყოფის სხვა კონკრეტული ღონისძიებანი.

ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ს. ჩიტაიას ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში, მეცნიერული კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების 90-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაია დაჯილდოვდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი,
1980 წლის 21 ნოემბერი.

ს. მაშელი სამშობლოში გაემგზავრა

ტაშკენტი, 23 ნოემბერი. (საკ. დეს). დღეს ტაშკენტიდან სამშობლოში გაემგზავრა ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ს. მ. მაშელი.

აეროპორტში სტუმარი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრთა კომიტეტის მოსავალი სხდომის შესახებ

1980 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ ბუქარესტში მორიგ სხდომას გმართავს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრთა კომიტეტი.

როგორ, რით ვხვდებით სკკპ XXVI ყრილობას?

პარტიული ცხოვრება:

კომუნისტის აქტიური პოზიცია

იმ მრავალრიცხოვან გამოხმაურებებში, რომლებიც მოჰყვა შარშან გაზეთ „კომუნისტის“ 10 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქლვინომაწქანის“ ხარატის შ. ჯობაძის სტატიას „ჩვენი აქტიური პოზიცია“ და რომელთაგან რამდენიმე გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, კომუნისტები მრავალი რაკურსით განიხილავენ მუშაობაში ხელის შემშლელ ფაქტორებს. ისინი აღნიშნავენ, რომ, თუ თითოეული ჩვენგანი თავის საქმიანობაში უბანზე შესაძლებლობის მაქსიმუმს გააკეთებს, ყველა რთული პრობლემაც კი დადებითად გადაწყდება, სწორედ ასეთი პოზიციით შეეძლებთ, რომ პირნათლად შეავსებდეთ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას. თავიანთ წერილებში ავტორები ყურადღებას ამახვილებენ საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებაზე, კომუნისტთა აქტიურობის ზრდაზე, უაღრესთანაზომობისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვაზე, პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ამ ბოლო წლების მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში დამკვიდრდა ერთი მეტად კარგი ტრადიცია, რომლის მიხედვითაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, სანამ რომელიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებდეს, მის თაობაზე ეთათბირება რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასებს, გულდასმით აანალიზებს მათს წინადადებებს, შენიშვნებს, სურვილებს და მათი გათვალისწინებით იღებს შესაბამის დადგენილებას. ამ სასიკეთო ტრადიციის კიდევ ერთი კარგი მაგალითია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის ყველა კომუნისტისა და მშრომელი-საქართველოს კომპარტიის მომავალ, XXVI ყრილობასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი თხოვნით მიმართავს ყველა მშრომელს, კომუნისტებსა და უპარტიოებს გამოთქვან თავიანთი სურვილები, გამდიდრონ კონკრეტული, საქმიანი წინადადებებით ერთობლივი მუშაობის პროგრამა.

ეს წერილი, რომელიც კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში, გამოქვეყნებისთანავე ჩვენი კომპლექსის წევრთა საქმიანი სჯა-ბაასის საგანი გახდა. ეუბგარეშეა, მის დებულებებსა და მოთხოვნებს დაწვრილებით გაეცნობიან, კონკრეტულად განიხილავენ რესპუბლიკის ყველა შრომითს კოლექტივში, რაც მნიშვნელოვანწილად დაეხმარება მათ ახალი წარმატებების მოპოვებაში, პარტიის მორიგი, XXVI ყრილობის ღირსეულ შეხვედრაში. და სწორედ ამ წერილმა აღმოაჩინა სურვილი ჩვენი კოლექტივის ცხოვრებისა და საქმიანობის რამდენიმე მაგალითით გამეცნო თქვენთვის, თუ რას აკეთებენ მისი წევრები პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, რა პრობლემები დგას მათ წინაშე და რა უნდა გაკეთდეს მათი ადაპტრისათვის.

ახალს არაფერს ვიტყვი, მხოლოდ ერთხელ კიდევ გავუსვამ ხაზს უკვე აღიარებულ ჭეშმარიტებას: საზოგადოებრივ სექტორში მუშაობა ერთგვარ კოხვეიერს ჰგავს: ერთი რომ წაიზარმაცებს, საქმეს ჩააგდებს, მეორეს ეშლება ხელი, მეორის გამო — მესამეს და ა. შ. გამონაკლისი არც ჩვენი კოლექტივია. ამიტომ ყველა რგოლში გამართული მუშაობაა საჭირო, რომ საბოლოო შედეგმა გაგვახაროს. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში კომუნისტ რ. ნაცვლიშვილს, როდესაც პარტიულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე განაცხადა: ყველა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალსაც ყურადღების მიქცევა უნდა, თორემ ბოლოს ცუდად გვამცნობს თავს. მაგალითად, პირუტყვს საკვებით და წყლით დროზე თუ არ მოვამარაგებთ, ამით თითქოს ქვეყანა არ დაიკარგა, მაგრამ ეს საქონლის სადღეღამისო წონამატებაზე უარყოფითად მოქმედებს და საბოლოო ანგარიშით დარგში წარუმატებლობის მიზეზი ხდება. არადა, ჩვენი კოლექტივის წინაშე დასახული ამოცანა არც ისე იოლია: წელს იგი სახორაც საქონლის სულადობის 13.000-მდე გაზრდას, 1.650 ტონა ხორცის წარმოებას გულისხმობს.

მას შემდეგ, რაც კარგად ავწონ-დაგწონეთ ჩვენი შესაძლებლობები, ვივალდებულეთ, რომ ხორცის წარმოება 1.820 ტონამდე გავზარდოთ. მაგრამ აქვე პრინციპულად დადგა საკითხი — ნაკლური ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შესრულდება, თუ მუშაობაში ხელისშემშლელი ფაქტორები მოისპობა. ეს, ფერმების საკვებით და წყლით უწყვეტი მოგარაგების გარდა, გულისხმობს ფერმის მუშაკთა სამუშაო ადგილამდე შეუფერხებლად მიყვანასაც.

ჩვენ კარგად გვესმის ის მისია, რომელიც დღეს გვეკისრება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამაწყინანდელ ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ამ საკითხთა შორის, რომლებზეც დამოკიდებულია საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე, პირველ ადგილზეა სურსათით მომარაგების გაუმჯობესება“. ეს კი უპირველესად სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებულ შრომას მოითხოვს.

ჩვენი კოლექტივისათვის მიღწეული უცნო ხელი არ არის. პირიქით, ხუნწლედის დამამთავრებელი წლის განვლილ ცხრა თვეში ჩვენთან პირუტყვის სულადობა საგგრძოსთან შედარებით 1.139-ით გაიზარდა. სახელმწიფოს 166 ტონით მეტი ხორცი მივყიდეთ, პირუტყვის იძულებითი დაკვლის შემთხვევები 217 სულით, ხოლო გაწყდომა — 48 სულით შემცირდა. ჯოგში საერთო სულადობის 75 პროცენტი კარგად ნასვენია, მნიშვნელოვნად გაიზარდა საღღეღამისო წონამატება, სახელმწიფოსთვის მიყიდული თითოეული სული საქონლის წონა და სხვ.

ახლახან შეავჯამეთ „ენამთის“ სასუქებელი მოედნის (გამგე კომუნისტი რ. ნაცვლიშვილი) მაჩვენებლები. ვერაფერს იტყვი, საქმე ურიგოდ არ მიდის, თუმცა პრობლემები აქაც არის: თუნდაც ის, რომ სასუქებელი მოედანი დღემდე სრულად ვერ იტვირთება, ეს კი 1.000 ტონაზე მეტ საქონლის ხორცს მოგვეცემდა. ამ საქმეში სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონკრეტული დაჯარება გვჭირდება.

მეცხოველეობის დარგში წარმატებები თუ წარუმატებლობანი ბევრად არის დამოკიდებული საკვებმომპოვებელთა შრომაზე. წელს გეგმით გათვალისწინებული 18.800 ტონა სენაჟი დამზადებულია, შესრულდება სილოსის დამზადების გეგმაც.

კომუნისტი საკვებმომპოვებლები არც თავიანთ ნაკლოვანებებს ჩქმალავენ. კერძოდ, ჯერ კიდევ დიდია საკვების წარმოების თვითღირებულება, რაც თავის უარყოფით გამოხატულებას პოულობს ძირითადი პროდუქციის — ხორცის წარმოების თვითღირებულებაში. ამ საკითხისათვის ხშირად გაუსვამს ხაზი მთავარ აგრონომს კომუნისტ ვ. ნატროშვილს, ამასთან იგი პრობლემის დადებითად გადაჭრის გზებსაც გვთავაზობს, ეს არის სამეცნიერო-საწარმოო სამუშაოების დაჩქარება, ხარისხის გაუმჯობესება და რწყვის სისტემის მოწესრიგება. კარგი იქნება, რომ სხვებიც მსავსი მოიქცნენ, მხოლოდ საკითხის დაყენებით არ შემოიფარგლონ, თვითონვე წამოაყენონ ხოლმე წინადადებები, თუ რა გზით, რა საშუალებებით შეიძლება ნაკლის აღკვეთა, მდგომარეობის გაუმჯობესება.

საყვედური უნდა გამოთქვათ „საქმთავარწყალმშენის“ კოლექტივის მისამართით იმის გამო, რომ იგი აჭიანურებს დამლაშებული ნიადაგების ჩარეცხვა-ფილტრაციის, მისი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით დაგეგმილ სამუშაოთა შესრულებას. ამის გამო ძნელდება ნიადაგის სტრუქტურის დადგენა, შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. არასტრუქტურული ნიადაგების დამუშავება კი ორმაგად რთულდება. ესეც უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის თვითღირებულებაზე.

ჩვენი კომუნისტები ხშირად ამბობენ იმასაც, რომ კომლექსის სამრეწველო მეცხოველეობის განვითარებასთან დაკავშირებით გვჭირდება ახალ-ახალი კადრები — მელიორატორები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები. კარგი იქნება, თუ საქართველოს სსრ უმაღლესი განათლების სამინისტრო გაითვალისწინებს ამას და ყოველწლიურად ჩვენს ორგანიზაციაზე უმაღლესი სასწავლებლის 3-4 ლიმიტს დაუშვებს.

როდესაც საერთო დოვლათი მატულობს, ცხადია, ხალხის ცხოვრების დონეც მაღლდება. ეს ჩვენი ცხოვრების წესია. აგიტატორმა მ. ყარაბუღაშვილმა ამას წინათ მეეფხაზეებთან საუბრის დროს ჩვენი ყოფის, ცხოვრების, წინსვლის ცოცხალი, ბევრისმთქმელი მაგალითები მოიყანა: ამ ბოლო ხანებში აშენდა და საეკსპლოატაციოდ გადაეცა ათასობით კვადრატული მეტრი მუშათა საცხოვრებელი ბინები, ადმინისტრაციული შენობა, საშაოლო სკოლა, წყალსადენი და სხვ. წლეულს მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასის სახით ასეულ ათასობით მანეთი გაიცა, ერთი კაცდღის ღირებულებამ 9 მანეთი შეადგინა, ხოლო საშუალო თვიურმა ხელფასმა 200 მანეთს გადააჭარბა.

საყრილობო სამზადისი ძალუმად შეიგრძნობა ჩვენს კომპლექსში. სიტყვის და საქმის ერთიანობა აკლავაც იქნება ჩვენი მუშაობის მთავარი პრინციპი.

ფ. სპანდერაშვილი,
ხიდნადის რაიონის წნორის სახორცე მესაქონლეობის საცდელი კომპლექსის მუშა, პარტიული კომიტეტის წევრი.

სიტყვისა და საქმის ერთიანობით

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს სავაჭრო-საწარმოო განყოფილების უფროსი ამხ. დავით ბარნაბის ძე **შუბლაძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პარტიული კომიტეტების პლენუმები

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახლად არჩეული **ტყვარჩელის** საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია **ვ. ჯ. ავიძბა**, მეორე მდივნად — **ნ. დ. მისოჩენკო**, მდივნად — **ნ. ი. ხარბედია.**

საქართველოს კომპარტიის **ხაჩერის** რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ე. ბ. ჩიხლაძე**, მეორე მდივნად— **თ. ტ. ტრაპაიძე**, მდივნად — **მ. ი. მაჭარაშვილი.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახლად არჩეული **გეგეჭკორის** რაიკომის პირველი პლენუმი. პარტიის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **ი. ა. მოწერელია**, მეორე მდივნად — **გ. დ. ბახილაია**, მდივნად — **ნ. მ. ხარებავა.**

საქართველოს კომპარტიის ახლად არჩეული **გუდაუთის** რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **კ. კ. ოზგანი**, მეორე მდივნად — **ი. ბ. ჭანტურია**, მდივნად — **ი. ზ. პაპბა.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახლად არჩეული **ზნაურის** რაიკომის პირველი პლენუმი. პარტიის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **ხ. შ. ჭურთიშვილი**, მეორე მდივნად — **რ. ი. გაბარაევი**, მდივნად — **ა. დ. სადღობელაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ახლად არჩეული **ლენინგორის** რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ა. ზ. თინიკაშვილი**, მეორე მდივნად — **მ. ზ. ხუბაევა**, მდივნად — **ვ. მ. გიგაური.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახლად არჩეული თბილისის **ლენინის** რაიკომის პირველი პლენუმი. პარტიის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **ბ. ე. ხარალიძე**, მეორე მდივნად — **ჭ. კ. ლაცაბიძე**, მდივნად — **კ. რ. ყღენტი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის **პირველი მაისის** ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **მ. ა. წულაძე**, მეორე მდივნად — **ნ. მ. ლეკიშვილი**, მდივნად — **ვ. ლ. ჯაფარიძე.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის **26 კომისრის** რაიკომის პირველი პლენუმი. პარტიის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **ჯ. რ. კუბალაშვილი**, მეორე მდივნად — **მ. ა. გოჩალიაშვილი**, მდივნად — **დ. ვ. სარალიძე.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის **კიროვის** რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ა. გ. ლომაძე**, მეორე მდივნად — **ე. ლ. ვახილიანი**, მდივნად — **ე. ა. ხეფაშვილი.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახლად არჩეული თბილისის **გლდანის** რაიკომის პირველი პლენუმი. პარტიის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **ო. შ. ხიზანიშვილი**, მეორე მდივნად — **ა. თ. გოცირიძე**, მდივნად — **ვ. ვ. კულაკოვა.** (საქინფორმი).

ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ

ზუმი ჩხოროწყუს რაიონის ერთ-ერთი დიდი და ლამაზი სოფელია. ვინც ამ სოფელს ახლოს გაიცნობს, დარწმუნდება, რომ აქ შრომისმოყვარე, თავიანთი სოფლის მოამაგე ადამიანები ცხოვრობენ. მაგრამ ზუმის ქება დიდხანს არ ისმოდა. პირიქით, თამბირები ან პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებები ისე არ ჩაივლიდა, რომ ეს სოფელი ჩამორჩენილთა შორის არ მოეხსენებინათ.

ასე აღარ შეიძლებოდა. ამაზე სერიოზულად დაფიქრდნენ პარტიის რაიონულ კომიტეტში. გადაწყდა განეხორციელებინათ საჭირო ღონისძიებანი. უპირველესად კადრები უნდა გადასინჯულიყო, და აი, 1978 წლის 15 აგვისტოს სოფელში გაიმართა პარტიის რაიკომის ბიუროს გამსვლელი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონის დიდი წარმოება-ორგანიზაციების მეთაურები, რათა ადგილზე მიეღოთ კონკრეტული დავალებები. საკითხი მასშტაბური იყო და მოიცავდა სოფელ ზუმის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარების ღონისძიებებს. საკითხის ფართო პლანით დასმამ სჯა-ბაასი კონკრეტული გახადა. დაუფარავად აღინიშნა სოფლის ყველა „სტატკვარი“ რომ სოფლის ეკონომიკის განვითარების დღევანდელი დონე არ შეესაბამება სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნებს, საკმარისად არ არის გამოყენებული ბუნებრივ-კლიმატური პირობები ჩაის, მარცვლეულის, ხილის მოსავლის ზრდისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. ზუმის კოლმეურნეობა „საქართველო“ ჩამორჩება ჩაის კრეფაში წინა წლის მაჩვენებელს. ბიუროომ აღნიშნა, რომ სოფელში დაბალ დონეზეა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, არ არის შექმნილი ერთიანი ფრონტი მდივანს, ტექნიკის მეცნიერების კანდიდატს, ა. ჩიქოვანს, გამოცდილ პარტიულ მუშაკს, რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგეს ღ. ჯოლოხავას.

როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, ბიუროს დადგენილება ქაღალდზე როდი დარჩა. მისი შესრულებისათვის პასუხისმგებლობა, როგორც იტყვიან, ნაბიჯ-ნაბიჯ იწყეს თითოეული მუხლის განხორციელება. თავიდათავი კი ის იყო, რომ ეკონომიკის ახალ რელსებზე გადასაყვანად აუცილებელი იყო კოლმეურნეობის უნარიანი თავკაცი.

თუ როგორ მოინახა ასეთი მუშაკი, ამის შესახებ გვიამბო პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ქაჯაიამ.

— ჩვენი საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურის უფროსად მუშაობდა უმაღლესი ეკონომიკური განათლების მქონე ახალგაზრდა კაცი ჯ. შოგირაძე. თავის საქმეში კარგად ერკვეოდა, დავალებას დროზე და უტყუარად ასრულებდა. ვიფიქრეთ, მოდი, ერთი ციფრებს შეეჯიბეთ კაცი პრაქტიკაში გამოვცადოთ-თქო, და იგი სოფელ ჭოლის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დავნიშნეთ. ამ უნარიანმა ხელმძღვანელმა მუშაობა ისე დააყენა, რომ პირველსავე წელს 17,5 პროცენტით გაზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, საბჭოთა მეურნეობაში თვალსაჩინო იყო შემოსავალი ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე. სასურველად გაიზარდა მეცხოველეობის ხვედრითი წილი. როცა სურათს ზედმიწევნით გავეცანით, მაჩვენებლებში ღრმად ჩავიხედეთ, ძნელი არ იყო იმის დანახვა, რომ ჩვენ შევიძინეთ კარგი ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკი. გადავწყვიტეთ ზუმელებისათვის გვერჩია ჯ. შოგირაძის არჩევა კოლმეურნეობის თავკაცად, სხვათა შორის, იგი ზუმელია, სოფელში ცხოვრობს და იცის მშრომელი კოლმეურნის ბუნება...

რაიონის ხელმძღვანელობის რეკომენდაცია ზუსტი გამოდგა. საქმე აღმა წავიდა, და ზუმის კოლმეურნეობა „საქართველო“ 1979-80 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის დაიმსახურა დიდი ჯილდო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი. და ეს სულ რაღაც ერთ წელიწადში მოხდა, მაშინ როცა მეცხოველეობის ზუმელთა სუსტი ადგილი იყო.

შრომა ადამიანის სიცოცხლის უპირველესი პირობა დ. ა. ზუმში დღეს ეს კარგად ეტყობა.

პარტიის რაიკომი ყურადღებით ადევნებს თვალს თავისი დადგენილების შესრულებას, ზუმელთა საქმეებს. მიმდინარე წლის 15 თებერვალს პარტიის რაიკომის ბიუროომ მოისმინა კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარის ანგარიში — შრომითი აღზრდისა და ადამიანთა რესურსების უკეთ გამოყენების შესახებ. სხვა დროს ბიუროო დაინტერესდა პარტიული ჯგუფების და პარტორგანიზაციის ბიუროს (მდივანი — ნ. ჯალაღონია) საქმიანობით, 50 კომუნისტი მცირე ძალა როდია იმისათვის, რომ წარმოების გადამწყვეტ უბნებზე სტაბილური მდგომარეობა იყოს.

უკვე ზუმელმა მეჩაიეებმაც გაითქვეს სახელი. მიმდინარე წელს სახელმწიფომ ზუმელებისაგან გადასამუშავებლად მიიღო 1.360 ტონა ჩაის ფოთოლი, რომლის 70,2 პროცენტი პირველი ხარისხისა და რომელიც 312 ტონით აღემატება 1978 წლის რაოდენობას.

მეჩაიეებს არც მესამინდეები ჩამორჩენენ. კარგ მოსავალს იღებენ გ. გელანტია, კ. პერტაია, ვ. ნაჭყებია, ღ. შოგირაძე, ბ. შენგელია, ვ. ლემონჯავა.

გაიზარდა შრომის ანაზღაურება. წელს მან შეადგინა 9 მანეთი და 97 კაპიკი. ჯ. ნაჭყებიას ოჯახის შემოსავალი 12.000 მანეთია, ჯ. ბერაძისა — 11.000 მანეთი, ღ. ლემონჯავასი — 8.000 მანეთი.

...ზუმში დღეს დიდი ყურადღება ექცევა სოფლის კეთილმოწყობას. სოფლის ცენტრში გაკეთდა შინმოუსვლელთა სტენდი. აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. დაიდგა ლამპიონები. 218.000 მანეთი მოხმარდა ახალი კლუბ-კინტორის მშენებლობას, ამონტაჟებენ 150-ნომრიან სატელეფონო სადგურს.

ზუმში ახლა შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული იმისათვის, რომ დროზე დაამბინაონ მოსავალი, ნორმალურად გამოაზამთრონ პირუტყვი, საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის მოსავალს.

ამთავითვე ემზადებიან აგრეთვე კოლმეურნეობის წლიური საანგარიშო კრებისათვის, სადაც შეჯამდება და გაანალიზდება ახლანდელი საქმიანობის შედეგები. ზუმელებს ბევრი აქვთ საამაყო, მაგრამ არც ზოგიერთი ნაკლოვანებისაგან არიან თავისუფალი. ამას კი კარგად გრძნობენ და ითვალისწინებენ პარტბიურო და კოლმეურნეობის გამგეობა.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ჯ. შოგირაძე.



თელავის სამშენებლო ტექნიკუმი ჰიდროტექნიკური მშენებლობის საშენი დეტალებისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების, ლითონკონსტრუქციების დამონტაჟების, წყალკანალიზაციის ქსელის მშენებლობის სპეციალისტებს უმზადებს კახეთის რაიონებს.

სამი წლის წინათ შექმნილი სასწავლებლის განკარგულებაშია კარგად მოწყობილი ლაბორატორიები და კაბინეტები.

სურათზე: ზოგადი ელექტროტექნიკის ლაბორატორიის გამგე ლუდმილა კუტალია (ცენტრში) და სწავლის ფრიადოსნები მარინე კახაშვილი და ზურაბ მიდელაური პრაქტიკულ მეცადინეობაზე.

ე. ეგინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს განკარგულებით დაბა ჩაქვში შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი — ელექტროსაზომ ხელსაწყოთა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი. მას ბუნებრივ პირობებში ხელსაწყოების გამცდა დაეკისრა. აი, რა გვიამბო ამ საკითხთან დაკავშირებით ფილიალის უფროსმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. აბულაძემ:

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲐ

გამოცდებს აბარებს ხელსაწყოები

— ელექტროსაზომ ხელსაწყოებს ჩვენს ქვეყანაში ათობით ქარხანა უშვებს. მათი დიდი ნაწილი იგზავნება მსოფლიოს იმ ქვეყნებში, რომელთა უმრავლესობა ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატის ზონაშია განლაგებული. ჩაქვის მიკროკლიმატიც შედარებით უფრო ტენიან-სუბტროპიკულია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონები. ამიტომაც იგი ზედმიწევნით შეესაბამება ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის მოთხოვნებს.

ლაბორატორია მოთავსებულია პატარა მდინარის ნაპირზე, ზღვიდან 500 მეტრის დაშორებით, ცვრიან, ტენიან და უქარო ზონაში. ასე რომ, გათვალისწინებულია ხელსაწყოთა გამოცდის ყველა აუცილებელი პირობა. ფილიალის ბაზაზე მოწმდება მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, კრასნოდარის, ერევნის, ჟიტომირის, უსტკამენოგორსკის და სხვა ქალაქების ხელსაწყოთსაშენებელი ქარხნების ნაწარმი.

ლაბორატორიის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა გურგენ ცუცქირიძემ გვითხრა, რომ წინა დღეს ჟიტომირიდან „ამპერვოლტმეტრის“ მთელი პარტია მიიღეს გამოსაცდელად. მიღებულ ხელსაწყოს 8 საათის განმავლობაში აკვირდებიან. განყოფილებაში ერთდროულად ოთხასამდე ხელსაწყო გადის გამოცდას. ასეთ დატვირთვას ვერ გაუძლო, მაგალითად, ერთ-ერთი ქარხნის მიერ გამოშვებულმა ცვლადი დენის კვების წყარომ. აქ მოწმდება არა მარტო ხელსაწყო, არამედ მისი ცალკეული კვანძები და დეტალებიც.

გამოცდის შედეგებით მიღებული რეკომენდაციები ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

მ. გოგრბილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს სესია

ცხინვალი. (საქინფორმის კორ.). მთის მხარის მშრომელთა ცხოვრებაში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა გახდა კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ, რომელიც საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე საესიამ მიიღო. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს კომუნისტური პარტიის მუდმივ ზრუნვას ლენინური ეროვნული პოლიტიკის, სოციალური დემოკრატიის პრინციპების თანამიმდევრული და განუხრელი განხორციელებისათვის. ახალი დოკუმენტი, მისი მოთხოვნების რეალიზაცია ხელს შეუწყობს მთის მხარის გარდაქმნას, ხაზგასმით აღინიშნა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეზუთე სესიაზე.

სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის ანგარიში 1979 წლის დეკემბრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ გააკეთა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ურჯუმელაშვილმა.

მოხსენება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის გეგმის შესახებ“ გააკეთა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ პ. ხაბალაშვილმა, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 1981 წლის ბიუჯეტისა და 1979 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ ილაპარაკა საოლქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ ი. ლოხოვმა.

თანამოხსენება გააკეთა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ. გაგოევმა.

მოხსენებებსა და დეპუტატთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი საბჭოების, აღმასკომების, სამეურნეო ორგანიზაციების მთელი საქმიანობა ხმარდებოდა იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით არის დასახული.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული, აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლების შედეგად ოლქის მშრომელებმა მეათე ხუთწლედის წლებში მიაღწიეს სახოგადოებრივი წარმოების მასშტაბის მნიშვნელოვან ზრდას, მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნების უფრო სრულ დაკმაყოფილებას. მეათე ხუთწლედის განვლილი წლების მანძილზე მრეწველობაში წარმოების აბსოლუტურმა მატებამ 20 მილიონ მანეთს გადააჭარბა და 80 მილიონ მანეთს მიაღწია. ცხინვალს ქალაქ მრეწველობინატმა, პურეული პროდუქტების ბაზამ, თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის ლენინგორის ფილიალმა, სატყეო მეურნეობის საოლქო სამმართველომ, რომლებმაც ფართოდ გამოიყენეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ მომავალი XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავად, და ხორცს ასხამენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს, უკვე გაანაღდეს მეათე ხუთწლედის საწარმოო პროგრამა. საგრძნობ წარმატებებს აღწევენ კოლმეურნეობათა მშრომელებიც.

სესიის მონაწილეებმა გააანალიზეს ოლქის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებული წარმატებები და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სამხრეთ ოსეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების გადასაჭრელ პრობლემებს.

სესიამ ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზა 1981 წლის გეგმები. ისინი მთლიანად შეესაბამება ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის დარგების შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო სესიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. (დამტკიცებულია 1981 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი 1979 წლის ბიუჯეტის შესრულება.

ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ



ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

თავისუფალი დრო — საზოგადოების სიმდიდრე

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და პიროვნების ყოველმხრივი განვითარება

დღევანდელი მსოფლიოსათვის დამახასიათებელია დიამეტრულად საპირისპირო ორი მსოფლიო სისტემის თანაარსებობა, ურთიერთობა და ბრძოლა. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა გამოყენებაც ამის შესაბამისად წყდება: თუ კაპიტალისტურთან შედარებით სოციალისტური (კომუნისტური) საზოგადოება გადამწყვეტი უპირატესობებით ხასიათდება, — ეს ნიშნავს, რომ მან უნდა უზრუნველყოს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა უპირატესი გამოყენება. ეს განსაზღვრავს ჟამიერ სოციალისტური საზოგადოების გამარჯვების გარდაუვალობას.

სკკპ XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქმის ამ მხარეს და აღნიშნა: „...მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარებული განვითარების საფუძველზე შეიძლება გადაჭრას სოციალური რევოლუციის საბოლოო ამოცანები — აშენდეს კომუნისტური საზოგადოება“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდინარე წლის ოქტომბრის პლენუმზე ასაბუთებდა რა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემებს, ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებდა: ჩვენს ქვეყანას 80-იანი წლების დამდეგს აქვს მძლავრი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები, ჩვენ გულდაჯერებით ვუყურებთ მერმისს. ეკონომიკის ეფექტიანობა განუყრელად არის დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან. წარმოებასთან მეცნიერების შეხამება, მასზე პროგრესული იდეების ზემოქმედება პრაქტიკულად ხდება მანქანებისა და ტექნოლოგიის მეშვეობით. სწორედ აქედან გამომდინარეობს სახალხო მეურნეობის განვითარებაში. შრომის ნაყოფიერების გადიდებაში მანქანათმშენებ

ლეონარდ მალაინი:

განვავითაროთ თანამშრომლობა

— **სსრ** კავშირის პროფკავშირებთან თანამშრომლობის ათ წელზე მეტი ხნის გამოცდილება გვარწმუნებს, რომ უთუოდ ურთიერთსასარგებლო კონტაქტები, კერძოდ, შრომის დაცვისა და პირობების გაუმჯობესების, საერთაშორისო კოოპერაციის განვითარების საკითხთა გადაწყვეტაში,— თქვა საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიგრაფისტთა და ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის თავჯდომარემ ლეონარდ მალაინმა, რომელიც თბილისში იმყოფებოდა. იგი მეთაურობს პროფკავშირულ დელეგაციას, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

საქართველოში ყოფნისას დელეგაციის წევრები იყვნენ სხვადასხვა საწარმოსა და ორგანიზაციაში, ეწვივნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობას.

— უკანასკნელ წლებში.—თქვა შემდეგ ლ. მალაინმა,— სსრ კავშირში იყვნენ ბევრი ჩვენი ქალთა და ახალგაზრდული დელეგაცია, ჟურნალისტებისა და პროფკავშირული აქტივისტების ჯგუფები. თავის მხრივ, ჩვენთან ჩამოვიდნენ ჩვენი საბჭოთა კოლეგები. შარშან ჩვენი პროფკავშირისა და სსრ კავშირის კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ინიციატივით მოსკოვში გაიმართა ორი ქვეყნის ჟურნალისტთა, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა ერთობლივი სემინარი, რომლის მთავარი თემა იყო სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და მათი პროფკავშირთა გავლენის საკითხები. მაგვარი შეხვედრები უდავოდ ხელს უწყობს ჩვენი სახელმწიფოების მეთაურების ჰ. შმიდტისა და ლ. ბრეჟნევის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებებში გათვალისწინებული ძირითადი დებულებების განხორციელებას. გარდა ამისა, ეს კონტაქტები ხელს უწყობს საერთაშორისო კლიმატის გაუმჯობესებას.

კურსები თბილისში

24 ნოემბერს, მოსკოვში ერთი თვის მეცადინეობის შემდეგ, თბილისში მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემის შემსწავლელი საერთაშორისო პროგრამის სასწავლო კურსებმა. კურსების პროგრამა, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის თორმეტი ქვეყნის სპეციალისტები, ეძღვნება პრობლემას „სასურსათო პროდუქტების მიკოტოქსინებით მოწამვლის შეფასება“.

კურსები მუშაობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე. მისი მსმენელები თბილისის ხუთდღიან მეცადინეობაზე გაეცნობიან რესპუბლიკის სანიტარიული სამსახურის მუშაობის გამოცდილებას, მოაწყობენ პრაქტიკულ სამუშაოებს. შემდეგ ისინი გამგზავრებიან ბათუმში, სადაც მოსმენენ საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, იტალიის, ინდოეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და იაპონიის წამყვანი მეცნიერი მედიკოსებისა და სპეციალისტების ლექციათა ციკლს სანიტარიისა და ჰიგიენის, კვების პრობლემების დარგში. (საქინფორმი).

დიდმნიშვნელოვანი წვლილი მეგობრობის განმტკიცებაში

მაკუტუ, 24 ნოემბერი. სამშობლოში დაბრუნდა ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი სამორა მოიზეს მაშელი.

განმარტავს რა საბჭოთა კავშირში მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელის ვიზიტის შედეგებს მოზამბიკის ცენტრალური გაზეთი „ნოტისიაში“ დღეს აღნიშნავს, რომ მოსკოვის მოლაპარაკება დიდმნიშვნელოვანი წვლილი გახდა მოზამბიკისა და საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებაში. დიდი ლენინის სამშობლოში მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ყოფნა აღინიშნა ორი ქვეყნის პარტიების, მთავრობებისა და ხალხების საბრძოლო სოლიდარობის სულისკვეთებით, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, ხაზს უსვამს გაზეთი. ახალი ძალით არის გაშუქებული მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოსა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს ურღვევი მეგობრობა და სოლიდარობა.

მოსკოვში ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის დოკუმენტები ახალ მძლავრ სტიმულს მისცემს მოზამბიკელ მშრომელებს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების აშენებისათვის ბრძოლაში, განაცხადა მაპუტუს რადიომ. ს. მაშელისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრებმა და საუბრებმა, ხაზგასმით აღნიშნავს რადიო, თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანეს საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის ურთიერთობა.

კარგი წანამძღვარი

ვაშინგტონი, 24 ნოემბერი. დიდი კმაყოფილებით გამოეცხადა პრეზიდენტ ლ. ი. ბრეჟნევის უკანასკნელ გამოსათქვამებს, რომლებიც მან დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განაგრძოს დიალოგი შეერთებულ შტატებთან დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიზნით,— განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა. —მომეწონა საბჭოთა ხელმძღვანელის განცხადებების ფრიად მშვიდი, ზომიერი ტონი. ეს მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია თავის ძალაში და ზედმეტ შეშფოთებას არ ავლენს ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკური ადმინისტრაციის ჩადგომის გამო. ჩემი აზრით, ეს განცხადებანი კარგი წანამძღვარია იმისათვის, რომ განახლდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგი როგორც ორივე ქვეყნის, ისე მთელი მსოფლიოს ხალხთა საარსებო მნიშვნელობის საკითხებზე“.

უ. ფულბრაიტმა „სასარგებლო“ უწოდა საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივებსაც, რომელთა მიზანია ბირთვული ომის საფრთხის შენელება და სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცება. ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვანწილად აგების პასუხს უკანასკნელ წლებში საერთაშორისო კლიმატის გაცივებისათვის, თქვა მან.

კონფლიქტი გრძელდება

ბაღდადი. ორი თვეა გრძელდება შეიარაღებული კონფლიქტი ერაყსა და ირანს შორის. ამ ხნის განმავლობაში საომარი მოქმედება გაჩაღდა ფრონტის 550-კილომეტრიანი ხაზის მთელ მანძილზე.

განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობს სამხრეთ უბნის ქალაქების აბადანის, აჰვაზის, სუსენგერდის რაიონში. ზოგიერთ რაიონში ერაყის ჯარებმა ირანის ტერიტორიაზე თითქმის 110 კილომეტრზე შეაღწიეს.

როგორც ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობა იუწყება, 21 და 22 ნოემბერს ერაყის ჯარებმა გაანადგურეს 23 და დაჭრეს ათობით ირანელი ჯარისკაცი, ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე ჩამოაგდეს ვერტმფრინავი, მოსპეს რამდენიმე ავტომანქანა და საბრძოლო მასალის საწყობი, ხელთ იგდეს დიდძალი სხვადასხვა იარაღი და სამხედრო საჭურველი. აღნიშნულ პერიოდში ერაყის მხარეს დაუხოცეს 26 კაცი.

თეირანი. ირანის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ცნობებით, უკანასკნელი დღეღამის განმავლობაში ფრონტის დასავლეთ უბნებზე ირანის ჯარებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და წინ წაიწიეს. სუმარის რაიონში ოთხი დღის განმავლობაში მათ განახორციელეს წინასწარ დაგეგმილი შეტევითი ოპერაცია და ხელთ იგდეს ერაყელთა მთელი რიგი პოზიციები, მათ შორის სტრატეგიული მაღლობები. ირანის სამხედროო ჯარები არტილერიისა და ავიაციის დახმარებით განაგრძობენ მოქმედებას ამ რაიონის მტრისაგან გაწმენდის მიზნით. ორივე მხარეს აქვს ზარალი.

სამხრეთში ბრძოლები გრძელდება აბადანის რაიონში, ირანელმა არტილერისტებმა გაანადგურეს ერაყელთა რამდენიმე გამაგრებული პოზიცია ამ სექტორში. მოსპობილია 9 ტანკი, 6 ქვემეხი, 3 ტყვია-წამლის საწყობი. ერაყელებს დაუხოცეს და დაუჭრეს დაახლოებით 15 ჯარისკაცი. აქტიურად მოქმედებენ აქ ირანის ვერტმფრინავები, რომელთა მოქმედების შედეგად გუშინ ერაყის პოზიციებზე დახოცილია 40 და დაჭრილია 80 კაცი.

საპროტესტო დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 24 ნოემბერი. შეერთებულ შტატებში გრძელდება მასობრივი პროტესტები ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ გრინსბოროს სასამართლოს სამარცხვინო გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელმაც ამ დღეებში გაამართლა რასისტული ორგანიზაციის კუ-კლუქს-კლანის წევრები. გასული წლის ნოემბერში კუკლუქსკლანელები ნაცისტური პარტიის წევრებთან ერთად სასტიკად გაუსწორდნენ დემონსტრანტებს, რის შედეგადაც ხუთი კაცი დაიხოცა და ცხრა დაიჭრა.

ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ დურჰემში ამ შტატის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოაწყვეს მასობრივი დემონსტრაცია. მიტინგზე შეკრებილებმა მოითხოვეს შეწყდეს რასისტული ტერორი და დაისჯოს გრინსბოროს მშვიდობიან დემონსტრაციაზე დანაშაულებრივი თავდასხმის ყველა მონაწილე.



ჯაცთმოკულეობის ქადაგმა კუ-კლუქსკლანმა გააქტიურა თავისი საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში. უკანასკნელ ოთხ წელიწადში ქვეყანაში კუკლუქსკლანელთა რიცხვი გაორკეცდა. ისინი სულ უფრო ხშირად და აშკარად აწყობენ პროვოკაციულ გამოსვლებს ამერიკის ქალაქებში, მიმართავენ რეპრესიებს ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლ ზანგ და სხვა ეროვნების მოღვაწეთა მიმართ.

რასისტების ასეთი მოქმედება აღაშფოთებს ამერიკის საზოგადოებრიობას. კეთილი ნების ადამიანები მოითხოვენ მათი საქმიანობის აკრძალვას.

სურათებზე: იუნიონტაუნში (პენსილვანიის შტატი) გამართული ანტირასისტული დემონსტრაციის მონაწილენი მოითხოვენ გზა დაუხშონ ფაშიზმს (მარცხნივ); კუკლუქსკლანელთა შეკრება იუნიონტაუნის მახლობლად.

საკმესის ფოტოქრონიკა.

ხანძარი გიგანტურ სასტუმროში

სან-ფრანცისკო. ასამდე კაცი დაიღუპა, 300-ზე მეტი ჰოსპიტალიზებულია — ასეთია არასრული ნუსხა იმ ხანძრის მსხვერპლისა, რომელიც გაჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების „სამორნეების დედაქალაქის“ ლას-ვეგასის (ნევადის შტატი) უდიდეს სასტუმრო „გრანდ ოტელში“.

ხანძარმა, რომელიც დილაადრიან დაიწყო ქალაქის ცენტრის გიგანტური სასტუმროს სასამსახურო სათავსებში, 26-სართულიანი შენობა სწრაფად გადააქცია აგიზგიზებულ ჯოჯოხეთად. მომწამვლელი კვამლი გავრცელდა მთელ შენობაში და გზა გადაუღობა ყველას კიბეებისაკენ, რომლებიც სწორედ ხანძრის შემთხვევისათვის იყო გათვალისწინებული.

გადარჩენის იმედით, სასტუმროს ბევრი სტუმარი ფანჯრებიდან ხტებოდა, ათასამდე კაცმა მოახერხა სახურავზე ასვლა, საიდანაც ისინი ვერტმფრინავებით გადაიყვანეს ახლომდებარე ნელისის სამხედრო-საჰაერო ბაზაში.

სასტუმროში, რომელშიც 2 ათასი ნომერი იყო, 5 ათასამდე სტუმარი ცხოვრობდა.

„გრანდ ოტელი“, რომელიც 1973 წელს ჩადგა მწყობრში, რეკლამირებულ იყო როგორც ლას-ვეგასის უდიდესი და ყველაზე ფეშენებელური სასტუმრო, რომელიც თითქოსდა საინჟინრო აზრის ყველა უკანასკნელი მიღწევის გათვალისწინებით აეშენებინოთ. როგორც კატასტროფამ გვიჩვენა, შენობაში დაცული არ იყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ელემენტარული ნორმები. ყველა სართულზე არ ყოფილა განლაგებული ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატური სისტემები. როგორც თვითმხილველნი ადასტურებენ, არ ამუშავდა სიგნალიზაციის სისტემა, და სტუმრებს სირენის ხმაც კი ვერ მიაწვდინეს.

ამერიკის „სამორნეების დედაქალაქის“ ისტორიაში ამ უდიდესი ტრაგედიის მიზეზებს იძიებენ. ამ დროისათვის ბოლში გახვეული ლას-ვეგასი ითვლის მსხვერპლთ, რომელთა რიცხვი იზრდება იმის კვალობაზე, თუ როგორ განაგრძობენ საძებარ ჯგუფები სასტუმროს ნომრებისა და დერეფნების შემოვლას.

„კომუნისტის“ მიმოხილვა

პეკინში დაიწყო უპრეცედენტო პოლიტიკური პროცესი, რომელსაც უკვე ოთხი წელია მოელოდა მთელი მსოფლიო. გარდა „ოთხთა ბანდისა“ (ძიან ცინი — მაოს მეუღლე, ჯან ჩუნციაო, ვან ხუნვენი, იაო ვენიუანი) ბრალდება წაყენებული აქვს მაო ძედუმის კიდევ 12 უახლოეს „თანამებრძოლსა და მოწაფეს“ — ლინ ბიაოს (ყოფილი თავდაცვის მინისტრი), „დიდი მესაფეს“ პოლიტიკურ მდივანს ჩენ ბოდას, ხუთი უმაღლესი რანგის გენერალს და სხვებს. ასე რომ, „ოთხთა ბანდა“ კვდრატში აყვანილი აღმოჩნდა: ბრალდება წაუყენეს 16 კაცს, მაგრამ განსასჯელის სკამზეა მხოლოდ ათი, რადგანაც დანარჩენნი „უკვე გარდაიცვალნენ“.

როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ლინ ბიაოსა და ძიან ცინის „კონტრრევოლუციური დაჯგუფების“ დანაშაულებრივი საქმიანობა მოიცავდა პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელთა, აგრეთვე ხალხის მასებისა და მრავალი ხელმძღვანელი მუშაკის დევნას, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობასა და მაო ძედუნის მკვლელობის მცდელობას, შანხაიში შეიარაღებული აჯანყების მომზადებას.

საბრალდებო დასკვნაში მოყვანილია „კულტურული რევოლუციის“ წლებში დევნილთა აშკარად შემცირებული ციფრები (727 ათასი კაცი). საინტერესოა, რომ ორიოდე თვით ადრე ჩინეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ჯან ხუა მიუთითებდა: „კულტურული რევოლუციის“ 1,2 მილიონი მსხვერპლიდან 266 ათასი უკვე რეაბილიტირებულიაო; ხოლო თვით თანამედროვე ჩინეთის „უძლიერესი პიროვნების“ — დენ სიაო პინის მტკიცებით, აღნიშნული ციფრი 100 მილიონამდე უნდა გაიზარდოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლო პროცესი დაიწყო მეტად დაძაბულ ვითარებაში. პეკინის რკინიგზის სადგურში ბომბიც კი აფეთქეს, რის შედეგადაც დაიღუპა 9 და დაიჭრა 81 კაცი, რასაც „ოთხთა ბანდის“ მომხრეთა მოქმედებას უკავშირებენ. არის ცნობები, რომ ამგვარი ექსცესების თავიდან აცილების მიზნით და სხვა მოსაზრებითაც (არ ამხილონ ზოგიერთი დღევანდელი მმართველის საქმიანობა „კულტურული რევოლუციის“ წლებში) პროცესი უკვე კარგა ხანია დაიწყო პეკინში, ხოლო სახალხო სასამართლოთი კომედიის დასკვნითი ნაწილი გათამაშეს. ყოველივე ეს ინსნება საბრალდებო დასკვნის მტკიცებათა ერთგვარი სირთულით: როგორ უნდა ჩამოაშოროთ „ოთხთა ბანდის“ დანაშაულებრივი საქმიანობა მაოს მოქმედებასა და მის იდეებს? სად არის წყალგამყოფი მაოს მიერ ოფიციალურად დაწინაურებული მემკვიდრის ხუა გოფენისა და „დიადი წითელი მზის“ მეუღლის პოზიციებსა და საქმიანობას შორის? და ა. შ. ამბობენ, ძიან ცინმა, რომელიც უარყოფდა თავის დანაშაულს, ერთ-ერთ დაკითხვაზე განაცხადა: „როდესაც ძაღლს ცემას აპირებთ, პატრონსაც ნუ დაივიწყებთო“.

ზოგიერთი დღევანდელი მმართველის საქმიანობა „კულტურული რევოლუციის“ წლებში) პროცესი უკვე კარგა ხანია დაიწყო პეკინში, ხოლო სახალხო სასამართლოთი კომედიის დასკვნითი ნაწილი გათამაშეს. ყოველივე ეს ინსნება საბრალდებო დასკვნის მტკიცებათა ერთგვარი სირთულით: როგორ უნდა ჩამოაშოროთ „ოთხთა ბანდის“ დანაშაულებრივი საქმიანობა მაოს მოქმედებასა და მის იდეებს? სად არის წყალგამყოფი მაოს მიერ ოფიციალურად დაწინაურებული მემკვიდრის ხუა გოფენისა და „დიადი წითელი მზის“ მეუღლის პოზიციებსა და საქმიანობას შორის? და ა. შ. ამბობენ, ძიან ცინმა, რომელიც უარყოფდა თავის დანაშაულს, ერთ-ერთ დაკითხვაზე განაცხადა: „როდესაც ძაღლს ცემას აპირებთ, პატრონსაც ნუ დაივიწყებთო“.

„ოთხთა ბანდის“ ათი (I) წევრი სასამართლოს წინაშე

სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ „ძაღლის პატრონსაც“ მოხვდა: მიმდინარე წლის ზაფხულიდან თანდათანობით ქრებოდა მაოს პორტრეტები და მის სადიდებლად წამოსროლილი ლოზუნგები: „გაუმარჯოს დიდ ბელადს — თავმჯდომარე მაოს!“; „გაუმარჯოს მაო ძედუნის უძლეველ იდეებს!“, „გაუმარჯოს თავმჯდომარე მაოს რევოლუციურ ხაზს“!, და ა. შ. თუ ამ მოწოდებათა შინაარსს ჩავუფიქრდებით, დავინახავთ, რომ დღევანდელ ჩინეთში არა მარტო გმობენ მაო ძედუნის პიროვნების კულტს, არამედ სრულიად აშკარად აღიარებენ მისი „იდეებისა“ და „რევოლუციური ხაზის“ გაკოტრებას.

ნიშანდობლივია ისიც, რომ დასავლეთის პრესა დღეს უფრო ხშირად ლაპარაკობს თანამედროვე ჩინეთის ხელმძღვანელთა არა „კომუნისტურ და მარქსისტულ მოწმენაზე“, არამედ ბურჟუაზიული (და პირველ რიგში ამერიკული) პოლიტიკური ცხოვრებისათვის ესოდენ დამახასიათებელ პრაგმატიზმზე, და ამის დასადასტურებლად მოჰყავთ დენ სიაოპინის სიტყვები: „მნიშვნელობა არა აქვს იმას, თეთრია თუ რუხი კატა; მხოლოდ ის კატა ვარგა, რომელიც თაგვებს იჭერს“.

დენის ეს „აფორიზმი“ დასავლეთში სწორედ ისე გაიგეს, როგორც საჭირო იყო: ჩვენთვის არც იდეებს და არც მარქსისტულ მსოფლმხედველობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუკი მათ უშუალო მოგება არ მოაქვს და ჩვენს დიდმპყრობელურ პოზიციებს არ ამაგრებს. ამასთან ცხადია, რომ არ შეიძლება დასავლეთის სახელმწიფო ხელმძღვანელები არ ხედავდნენ მილიარდიანი ჩინეთის სამხედრო გაძლიერების საშიშროებას, მაგრამ, როგორც ჩანს, თავს იმით იმშვიდებენ, რომ ჩინეთში „გადახალისებათა“ პროცესი ისეთი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რომ „ძლიერების მომენტისათვის“ (დაახლოებით 2000 წლისათვის) ეს მსოფლიოში ყველაზე ხალხმრავალი სახელმწიფო საბოლოოდ დაკარგავს სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

ამგვარი მოსაზრებანი საფუძველს როდია მოკლებული. კარგად არის ცნობილი, რომ დღევანდელი ჩინეთის ეკონომიკა (როგორც მრეწველობა, ისე სოფლის მეურნეობა) არა მარტო ორიენტირებულია ბურჟუაზიულ სამყაროზე, არამედ მასში სრულიად აშკარად მომძლავრდა კერძომესაკუთრული ტენდენციები და ე. წ. საბაზრო ეკონომიკის ნიშნები. „განახლების“ პროცესი შეეხო აგრეთვე პოლიტიკური ცხოვრების სფეროსაც. ასე, მაგალითად, თვით ჩინეთის პრესის ცნობით, ჩვეულებრივ შიგნით მიმდინარეობს ბურჟუაზიული პარტიების (გომინდანის რევოლუციური კომიტეტის, ჩინეთის დემოკრატიული ლიგის, დემოკრატიის განვითარების ხელშემწყობი ასოციაციისა და სხვათა) მუშაობის მოწესრიგების პროცესი, საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ შანხაიში დამატებით შეიქმნა ამ პარტიების 600 პირველადი უჯრედი და საკმაოდ აღდგა მათი საქალაქო და საარაონო მასშტაბის ორგანიზაციები.

და კიდევ ერთი ფაქტი. ჩინეთის კომპარტიის XII ყრილობისათვის მზადების პროცესში სულ უფრო და უფრო სუსტდება „კულტურული რევოლუციის“ ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელის (ძიან ცინთან ერთად) ხუა გოფენის პოზიციები. უკვე სექტემბრის ბოლოს გაზეთმა „ჟენ მინჟიბაომ“ საგანგებოდ მიიჩნია მაოს მიერ შემოღებული მემკვიდრის შერჩევის „ფეოდალური“ სისტემა, უპირატესობა ამ შემთხვევაში მიანიჭა „დემოკრატიულ პროცესს“ და აღნიშნა, რომ მომავალ ყრილობაზე „ისინი, ვინც საკმაოდ კომპეტენტური არ არის, უნდა წავიდნენ“. ამ მხრივ საინტერესოა გაზეთ „გუანმინ ჟიბაოს“ ცნობაც, რომლის თანახმადაც ერთმა უდანაშაულოდ მსჯავრდადებულმა სპეციალისტმა ცხრაჯერ შემართა ხუა გოფენს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. იგი სცემეს საპყრობილეში და უკვე პარალიზებულს 18 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, ცხადი ხდება, რომ მწვავე ბრძოლა ხელისუფლებისათვის თანამედროვე ჩინეთის ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, მოსალოდნელია ახალი „გადახალისებანი“ და „გადადგილებანი“, რომელთა მიზანია ერთი დაჯგუფების (როგორც ჩანს, დენ სიაოპინის მომხრეთა) პოზიციების შემდგომი გაძლიერება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ახალ ხელმძღვანელობას არავითარი „საკუთარი იდეები“ არ წამოუყენებია, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს თავისებურ „ნეომაოისტურ“ ტენდენციასთან.

ედ. მენაბდე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

გასულ კვირაში

„ოთხთა ბანდის“ ათი (I) წევრი სასამართლოს წინაშე

მოკლედ

ყოველ მხრიდან

24 ნოემბერი

● **პრაღა.** პრაღის სამრეწველო ავტომატიზაციის ქარხნის კოლექტივმა საბჭოთა შემკვეთებს გადასცა „მინსკის“ ტიპის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებისათვის განკუთვნილი სათვლელ მოწყობილობათა პარტია. ამრიგად, საწარმომ ვადამდე შეასრულა სსრ კავშირისათვის ხაელსპორტო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის დავალებანი.

● **ვენა.** აქ გაიმართა წინააღმდეგობის მებრძოლთა საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს სხდომა, რომლის უფროსდღეის ცენტრში იყო მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის მოქმედების აქტივიზაციის, აგრეთვე ნეოფაშიზმისა და ნეონაციზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხები.

● **დელი.** ინდოეთის შეიარაღებული ძალები გაძლიერებული მზადყოფნის მდგომარეობაში არიან ტრიპურის ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატის სახაზღვრო რაიონებში. როგორც შტატის ადმინისტრაციულ ცენტრში აგარტალეში განაცხადა ტრიპურის მთავარმა მინისტრმა ნრიპენ ჩაკრავორტიმ, ეს ღონისძიება განხორციელებულია იმასთან დაკავშირებით, რომ იქ გაკეტილდნენ უცხოელ ინსტრუქტორთა მიერ მომზადებული სეპარატისტთა ბანდები, რომლებიც საზღვარგარეთის ბაზებიდან მოქმედებენ.

ყოველ დილით დგება თავის ჩარხთან. ჩვენს მუშებს ყოველდღიურად სულ უფრო მეტი პროფესიული ოსტატობა, ხშირად კი, ინჟინრული ცოდნა მართებთ, მხოლოდ ასე თუ უზრუნველყოფთ პროდუქციის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე“.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი წინააღმდეგობა ეს არის, რომ ადამიანის გენია ქმნის მანქანებს, მანქანათა სისტემას, კოლოსალურ საწარმოო პოტენციალს, მაგრამ მთლიანად ვერ ყენებს მასში ჩაქსოვილ საწარმოო შესაძლებლობებს. ამ პროცესს ანტაგონისტური ხასიათი აქვს კაპიტალიზმის პირობებში, სოციალიზმის დროს კი ანტაგონიზმი გამორიცხულია. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება — როგორც კაშრის მასშტაბით, ისე ჩვენს რესპუბლიკაშიც სრულად ვერ ვიყენებთ საწარმოო შესაძლებლობების, ტექნიკური შესაძლებლობების პოტენციალს, რაც არაერთხელ აღნიშნულა რესპუბლიკურ პარტიულ-სამეურნეო შეკრებებზე. სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა, რომ „საწარმოო სიმძლავრეთა არასრული გამოყენების გამო ჩვენ წლითიწლობით გვაკლდება მრავალი მილიარდი მანეთის პროდუქცია“.

როგორ უნდა დავძლიოთ ეს წინააღმდეგობა? როდესაც საზოგადოებრივი წარმოება უაბლესი ტექნიკით არის აღჭურვილი, შრომის ნაყოფიერების ზრდა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია ამ ტექნიკის ათვისებასა და გამოყენებაზე. ეს კი მოითხოვს წარმოების მუშაკთა განათლების, მეცნიერულ-ტექნიკური მომზადების მაღალ დონეს, პროფესიონალიზმს. რაც უფრო მაღალია ადამიანის ტექნიკურ-კულტურული დონე და კვალიფიკაცია, მით უფრო რაციონალურად იყენებს იგი ტექნიკას, მთელ შესაძლებლობებს, ამაღლებს ეფექტიანობას, სრულყოფს მუშაობის ხარისხს. აი, რატომ დგას პირველ პლანზე მშრომელთა, წარმოების მუშაკთა ყოველმხრივი განვითარება და პროფესიული სრულყოფა.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარება

კომუნისტური პარტიის პროგრამაში აღნიშნულია: „კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში იქმნება შესაძლებლობა აღიზარდოს ადამიანი, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა. ეს საკითხი ახალი როდია. იგი პირველად მარქსიზმის კლასიკოსებმა წამოაყენეს. ფ. ენგელსი „ანტი-დიურინგში“ წერდა: „მომავალი კომუნისტური საზოგადოება „...ყოველმხრივ განვითარებულ მწარმოებელთა თაობას აღზრდის, რომელსაც მთელი ინდუსტრიული წარმოების მეცნიერული საფუძვლები ესმის და რომლის თითოეული წევრს პრაქტიკულად ცალკე წარმოების დარგების მთელი რიგი აქვს შესწავლილი თავიდან ბოლომდე, იმდენად, რომ საზოგადოება შექმნის ახალ საწარმოო ძალას“.

მძლავრმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და მისი მიღწევების რეალიზაციის საჭიროებამ მთელი სიმკაცრით დააყენა საკითხი პიროვნების ყოველმხრივი განვითარების, უშუალო მწარმოებელი ძალის ინტელექტუალური, ნიჭის, ტალანტის განვითარებისათვის, მით უფრო ყოველმხრივ განვითარდება ადამიანი, დიდად ნაყოფიერი ხდება მისი შრომა, უფრო მრავალფეროვანი ხომ არ ნიშნავს, რომ ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანს შეუძლია სრულყოფილად იმუშაოს და იმოღვაწეოს მეცნიერების, ხელოვნების დარგებში? არა. პიროვნების ყოველმხრივი განვითარება ნიშნავს ცოდნის ერთ-ერთ დარგში მაღალი კვალიფიკაციის, მაღალი პროფესიონალიზმის შეხამებას ცოდნის სხვა დარგებში მაღალ საერთო განათლებასთან. ჩვენ უნდა მივიღოთ ადამიანისაგან ის, რაც მას შეუძლია, — თანახმად კომუნიზმის პრინციპის მოთხოვნისა — „თითოეულისაგან უნარის მიხედვით“.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური მომზადების და პროფესიათა დაუფლების მრავალფეროვნება ფართო სარბიელს აძლევს შრომის მონაცვლეობას (ვალუბადობას), რომელიც არ კეტავს მუშაკს ერთ (ხშირად მოსაწყენ) პროფესიაში, ახალისებს მას, შემოქმედებითს ძალას მატებს, ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

ის რაოდენობრივი და თვისებრივი მდგომარეობა, რომლითაც ხასიათდება თავისუფალი, შემოქმედებითი შრომა, უშუალოდ არის დაკავშირებული პიროვნების ყოველმხრივ განვითარებასთან, რამდენადაც კომუნისტური საზოგადოების განვითარებასთან ერთად სულ უფრო იზრდება თავისუფალი დრო. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საშუალებით, რაც უფრო მცირდება მატერიალური წარმოებისათვის განკუთვნილი დრო, მით უფრო ფართოვდება შესაძლებლობანი უნარის, ნიჭის, ტალანტის განვითარებისათვის, მით უფრო ყოველმხრივ განვითარდება ადამიანი, დიდად ნაყოფიერი ხდება მისი შრომა, უფრო მრავალფეროვანი იქნება მისი მოღვაწეობა. კ. მარქსი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რა თავისუფალი დროის რაციონალურ გამოყენებას, წერდა, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში სიმდიდრის საზომი იქნება არა სამუშაო დრო, არამედ თავისუფალი დროო.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სოციალური შედეგი

მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეპოქის ძირითადი შინაარსია კაპიტალისტური საზოგადოების კომუნისტური (სოციალისტური) საზოგადოებით შეცვლა. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა გამოყენება. საკითხია: საბრალდობს თუ არა კაპიტალიზმი ამ რევოლუციის მიღწევებით? მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმი წინ ეღობება და ამუხრუჭებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, კაპიტალისტები, მონოპოლისტები მის მიღწევებს მაინც იყენებენ წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლებისა და მოგების გადიდებისათვის, რაც მუშათა კლასის და, საერთოდ, მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერების გზით ხდება.

კაპიტალიზმის აპოლოგეტ-სოციოლოგიებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საკითხი სხვაგვარად ესმით. მათი აზრით, ახლა კაპიტალიზმის პირობებში მიმდინარეობს ეგრეთ წოდებული „მეორე სამრეწველო რევოლუცია“, კაპიტალიზმი „მეორე ამოსუნთქვა“. თუ პირველმა სამრეწველო რევოლუციამ საბოლოო

დიდი რუსი მხედართმთავარი



ა. ვ. სუვოროვის დაბადების 250 წლისთავი

ჩვენი ხალხისათვის საამაყო წარსულის გამოჩენილ მოღვაწეთა ბრწყინვალე პლეადაში საპატიო ადგილი უკავია დიდ რუს მხედართმთავარს, გენერალისიმუს ალექსანდრე ვასილის ძე სუვოროვს.

სუვოროვის დამსახურება და სიდიადე, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მთელი თავისი ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის სამხედრო მოღვაწეობა სამშობლოს ინტერესებს მიუძღვნა. რუსეთის არმიის გამარჯვებებმა რუსეთის იმპერიისა ავტორიტეტი, შეუქმნა მძლავრი სამხედრო სახელმწიფოს დიდება, რომელსაც ძლიერი არმია და მხედრული ხელოვნების მაღალი დონე ჰქონდა. იმ მძიმე პერიოდში სუვოროვი ეყრდნობოდა ეროვნულ სამხედრო ტრადიციებს და ავლენდა შემოქმედებითს გმირობასა და სიმტკიცეს. მან აღამაღლა რუსული სამხედრო ხელოვნება და დასავლეთ ევროპის სამხედრო ხელოვნებაზე უფრო მაღლა დააყენა.

სუვოროვმა შეისისხლხორცა ყოველივე საუკეთესო, ყოველივე მოწინავე, რაც იმ დროის სამხედრო თეორიაში იყო. მას არასოდეს არ რჩებოდა თვალთახედვის არედან ახალი შეხედულებანი სამხედრო საქმის დარგში. იგი იყო თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ადამიანი, იცოდა რვა უცხო ენა, ყურადღებით ადევნებდა თვალს ლიტერატურას, რომელიც რუსეთსა და სხვა ქვეყნებში გამოდიოდა.

ა. ვ. სუვოროვის სამხედრო-თეორიული მემკვიდრეობის ღირებულება, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მან უფრო ღრმად და სწორად გაიგო სტრატეგიის არსი და ამოცანები, მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს სტრატეგიული და პოლიტიკური მიზნები ომში. იგი იყო ერთ-ერთი პირველი მხედართმთავარი, რომელმაც წამოაყენა დებულება, რომ მხოლოდ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის განადგურება უზრუნველყოფს სრულ გამარჯვებას ომში. დასავლეთში მაშინ გაბატონებული კორდონული სტრატეგიის წესებისაგან განსხვავებით, რომ ვითომდა ომის ბედს წყვეტდა მოწინააღმდეგის ტერიტორიისა და მისი ციხე-სიმაგრეების დაპყრობა, სუვოროვს სტრატეგიის ძირითად ამოცანად მიაჩნდა მოწინააღმდეგის არმიის მოსპობა.

; დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ხელოვნებაში ხელმძღვანელ პრინციპად გაბატონებული უმიზნო მანევრების ნაცვლად სუვოროვი პირველ ადგილზე აყენებდა გადამწყვეტ იერიშს, დამამთავრებელ ბრძოლას. დიდი რუსი მხედართმთავრის აზრით, მხოლოდ ბრძოლა აგვირგვინებს საქმის წარმატებას. სწორედ აქედან გამომდინარეობს სუვოროვის სამხედრო ხელოვნების, მისი სტრატეგიის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება — თავი არ გაარიდო მოწინააღმდეგის, პირიქით, ეძებე იგი, მტაცეც მოქმედებით მოუსპე მოწინააღმდეგის მთავარი: შეიარაღებული ბრძოლის საშუალება — ცოცხალი ძალა და ტექნიკა.

როგორც სუვოროვი ამბობდა, სწრაფი, მოულოდნელი მოქმედება „ნამდვილი ომის სული და გულია“. ეს მიაჩნდა მას წარმატების საწინდრად. სწორედ ამ გზრამოებით იახსნებოდა ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელსაც სუვოროვი ანიჭებდა სწრაფ მარშებს, ჯარების მუდმივ წვრთნას სხვადასხვა ადგილმდებარეობის პირობებში და წლის ყოველ დროს.

სუვოროვი შეტევითი სტრატეგიის მტკიცე მოძრეა. მის მხედართმთავრულ მოღვაწეობაში წარმატებით იყო შეხამებული სიმტკიცე და მოულოდნელობა, წინდახედულება და სიფრთხილე. სუვოროვის ფორმულა „თვალხმა, სისწრაფე, შეტევა“ გამოხატავს შეტევის ძირითად პრინციპს. ამ ცხებაში ჩაქსოვილი იყო ვითარებაში სწრაფი ორიენტირების, მოწინააღმდეგის სუსტი ადგილების სწორი განსაზღვრისა და მასზე იმ მიმართულებით დარტყმის უნარი, საიდანაც იგი ამას არ ელოდება.

როცა გამარჯვების მიღწევას საფუძველად დაუდო შეტევა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის მოსპობის მიზნით, სუვოროვი სრულიადაც არ უგულებელყოფდა თავდაცვასაც. იგი, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, უკანაც იყურებოდა, მაგრამ არა იმისათვის, რომ გაქცეულიყო, არამედ შეექმნა ხელშემწყობი პირობები იერიშზე გადასასვლელად. ამრიგად, სუვოროვი სტრატეგიაში იყენებდა მოქმედების სხვადასხვა ფორმას, მაგრამ მისი მიზანი უცვლელი რჩებოდა — მოწინააღმდეგის საბოლოო და გადამწყვეტი დამარცხება. სუვოროვს მიაჩნდა, რომ სამხედრო ხელოვნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ომის ბედს განსაზღვრავს.

სუვოროვის დებულება „ყოველ მეომარს უნდა ესმოდეს თავისი მანევრი“ ყველაზე სრულად გამოხატავდა აღზრდის ძირითად აზს და მნიშვნელოვნად ამაღლებდა ჯარისკაცის პირადებას, უნერგავდა მას თავისი ღირსების რწმენას, აყენებდა სულ სხვა ვითარებაში, ვიდრე ყმა გლეხი იყო.

ჯარების წვრთნისა და აღზრდის სუვოროვისეული სისტემის საფუძველი იყო სამშობლოსადმი სამსახურის პატრიოტული იდეა. სუვოროვი თვითონაც რუსეთის დიდი პატრიოტი იყო, გულწრფელად და მხურვალედ უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი ხალხი. იგი ამბობდა: „კეთილი სახელი ყოველი კეთილი ადამიანის კუთვნილებაა. პირადად მე კეთილი სახელი სამშობლოს დიდებად მიმაჩნდა“.

რუსეთის არმიის გამარჯვებანი ჯარების წვრთნისა და აღზრდის ამ სისტემის ერთგულების პირდაპირი შედეგი იყო, რომელსაც სუვოროვი ნერგავდა. სუვოროვი იყო იმ ისტორიულ პირობებში ყველაზე მოწინავე რუსული სამხედრო სკოლის დამაარსებელი. სუვოროვმა აღზარდა პროგრესულ რუს სამხედრო მოღვაწეთა მთელი პლეადა, რომლებიც ახალ ისტორიულ პირობებში ავითარებდნენ მის იდეებს, მის ტრადიციებს, რუსული სამხედრო ხელოვნება აიყვანეს ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე.

სუვოროვის სახელმა, მისმა სამხედრო გენიამ აღიარება მხოლოდ საბჭოთა დროში პოვა, როცა მთლიანად შეფასდა მის მიერ დატოვებული მდიდარი და მრავალფეროვანი სამხედრო მემკვიდრეობის მნიშვნელობა. როცა ახალი ტიპის არმიას, სოციალისტური სახელმწიფოს დაცვის არმიას ქმნიდა, საფუძველს უყრიდა საბჭოთა სამხედრო მეცნიერებას, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო გამოგვიყენებინა და აგვეთვისებინა ყოველივე მოწინავე, რაც წარსულისაგან მემკვიდრეობით მივიღეთ.

განსაკუთრებით აქტიურად იყო გამოყენებული ა. ვ. სუვოროვის თეორიული და პრაქტიკული მემკვიდრეობა დიდი სამამულო ომის წლებში. შეიარაღებული ბრძოლის სულ სხვა, უფრო რთულ პირობებში საბჭოთა სარდლობა ფართოდ იყენებდა ყოველივე საყურადღებოს, რაც კი რუსეთის სამხედრო ხელოვნებაში იყო, მათ შორის, ბუნებრივია, იმასაც, რაც სუვოროვმა შექმნა. ამიტომაც შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ომის უდიდეს ოპერაციებს სარდლობა კოდურ სახელებს — რუს მხედართმთავართა სახელებს — „სუვოროვი“, „რუმიანცევი“, „კუტუზოვი“, „ბაგრატიონი“ — არქმევდა.

ჩვენი სამშობლოს წინაშე სუვოროვის დიდ დამსახურებათა აღიარება იყო ის, რომ 1942 წლის ივნისში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაწესდა მისი სახელობის სამი ხარისხის სამხედრო ორდენი. ამ ორდენით ჯილდოვდებიან საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები თვალსაჩინო წარმატებებისათვის ჯარების მართვის საქმეში, საომარ ოპერაციათა ჩინებული ორგანიზაციისა და ამ დროს გამოვლენილი სიმტკიცისათვის, რომელთა შედეგად მიღწეული იყო გამარჯვებანი დიდი სამამულო ომის წლების მანძილზე სამშობლოსათვის ბრძოლებში.

ა. ვ. სუვოროვის სამხედრო-თეორიული და პრაქტიკული მემკვიდრეობა უდიდესია. იგი მოიცავს ჯარების ცხოვრებისა და საომარი მოქმედების ბევრ მხარეს, მათ შორის ჯარისკაცთა მოვზადებასაც, საომარი მოქმედების ასპარეზზე ჯარის დიდ გაერთიანებათა მართვასაც. ამ მემკვიდრეობაში აისახა მხედართმთავრის მიერ თანამედროვე ომების თავისებურებათა და ხასიათის ობიექტური გაგება, ღრმად არის დამუშავებული სამხედრო ხელოვნების ყველაზე ფართო წრის საკითხები.

დღეს, როცა ვაფასებთ ა. ვ. სუვოროვის პიროვნებასა და დამსახურებას წარსულის თვალსაზრისით, სულ უფრო ნათლად და მკაფიოდ წარმოგვიდგება თვალწინ დიდი პატრიოტის, რუსეთის ეროვნული ინტერესების მამაცი დამცველის, ნიჭიერი მხედართმთავრისა და სამხედრო თეორეტიკოსის სახე.

გენერალ-ლეიტენანტი

პ. ა. ჟილინი,

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ისტორიის ინსტიტუტის უფროსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (საკადეს).

ა. ნ. ღოღობერიძე

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ნახევარლსაჩინოესი წარმომადგენელი. თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი მოთამაშე, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, 1951 წლიდან სკკპ წევრი ავთანდილ ნიკოლოზის ძე **ღოღობერიძე.**

ა. ღოღობერიძე იმ გამოჩენილ სპორტსმენთა პლეადას ეკუთვნოდა, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა სპორტის განვითარების დიდ საქმეში. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა წარმატებებში, მის გვერდით იზრდებოდნენ ახალი თაობები, ოსტატებდობდნენ და ფრთებს შლიდნენ ახალგაზრდა ტალანტები.

ა. ღოღობერიძე 1922 წელს დაიბადა სოხუმში, აქ გაატარა ბავშვობა, აქვე ეზიარა ფეხბურთს და იმთავითვე მიიქცია საყოველთაო ყურადღება როგორც ძალზე ნიჭიერმა, პერსპექტიულმა მოთამაშემ.

1941 წელს დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ა. ღოღობერიძე გერმანელ ოკუპანტებთან საბრძოლველად წითელი არმიის მებრძოლთა რიგებში ჩადგა.

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში ა. ღოღობერიძე 1944 წელს მოვიდა და 1961 წლამდე ერთგულად, მთელი თავისი შესაძლებლობით ემსახურა მშობლიურ კოლექტივს, 10 წლის მანძილზე იყო მისი კაპიტანი, საიმედო ლიდერი, ახალგაზრდობის უტყუარი მეგობარი, მრჩეველი და აღმზრდელი.

თავისი ხანგრძლივი საფეხბურთო მოღვაწეობის მანძილზე ა. ღოღობერიძე ორჯერ იყო საკავშირო ჩემპიონატების ვერცხლის მედლების მფლობელი (1951, 1953 წ.წ.), ოთხჯერ — ბრინჯაოსი (1946, 1947, 1950, 1959 წ.წ), სამჯერ შეიყვანეს სსრ კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში. 1962 წელს იყო თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი, 1963-65 წლებში — გუნდის უფროსი, სწორედ მაშინ, როცა 1964 წელს თბილისის „დინამომ“ პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები. შემდეგ მწვრთნელად მუშაობდა თბილისის „ლოკომოტივში“ (1 ლიგა).

ა. ღოღობერიძე ერთ-ერთი ცნობილი ფიგურაა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში, მასში თანაბრად იყო შერწყმული პირველხარისხოვანი სოლისტისა და გუნდის კოლექტიური, ტაქტიკური მეთაურის შესანიშნავი თვისებები, თამაშობდა თავდასხმაშიც, ნახევარდაცვაშიც. უმაღლეს დონეზე 17 წლის დაუღალავი, ენერგიული და ვირტუოზული თამაშით ღირსეულად დაიმსახურა სპეციალისტთა და ფეხბურთელთა დიდი პატივისცემა და მაყურებელთა უსაზღვრო სიყვარული.

ა. ღოღობერიძე თამაშობდა სსრ კავშირის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში, მონაწილეობდა 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადაში, არის გ. ფედოტოვის სახელობის „ასიანთა კლუბის“ წევრი, ნათამაშევი აქვს 62 საერთაშორისო მატჩი, გაიტანა 21 გოლი. დაწერა საინტერესო წიგნი „ბურთით ცხრა მთას იქით“ (1963 წ.). ა. ღოღობერიძე თბილისის „დინამოს“ რეკორდსმენია კლუბში გამართული საკავშირო ჩემპიონატების მატჩების რაოდენობით — 343, გატანილი ბურთების საერთო რიცხვით — 127, ერთ სეზონში გატანილი გოლებით (1950 წელი — 25).

წავიდა ჩვენგან კაცი, რომელსაც მძიმე ავადმყოფობის გამო არ დასცალდა ტკბილი ხანდაზმულობა, წავიდა და თან წაიღო ჩვენი დიდი სიყვარული.

საქართველოს სპორტკომიტეტი; ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია; „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო; თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები.

დიდი რეჟისორის დრამატურგია

ახლახან გამომცემლობა „ხელოვნებამ“ მკითხველებს მიაწოდა დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის პიესები და კინოსცენარები, რომლებიც რუსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო გივი ბოჯგუამ.

ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილია კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობა თეატრსა და კინოში, მაგრამ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა თითქმის შეუსწავლელია. არადა, დიდ რეჟისორს აქვს ბევრი ლექსი, მოთხრობა, პიესა (ლექსად და პროზად), კინოსცენარები, მუსიკალური კომედიებისა და პანტომიმათა ლიბრეტოები, რომლებიც მას, ძირითადად, რუსულ ენაზე შეუქმნია.

გ. ბოჯგუა აი უკვე რამდენიმე წელია იკვლევს კოტე მარჯანიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. 1977 წელს მან გამოსცა კიდეც ვრცელი მონოგრაფია „კოტე მარჯანიშვილის დრამატურგია“. და აი, ახლა კარგი ქართულით თარგმნილი პიესები „ჟიჟავი მინდორში“ და „ბერიოზნიკი“, კინოსცენარები „ობესალომ და ეთერი“ და „როსტევან და ქეთევან“ გამოიტანა მზის შუქზე.

ამ ნაწარმოებებს, უდავოდ, ინტერესით გაეცნობა ქართველი მკითხველი.

ეძღვნება პედაგოგს

თბილისს ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა საღამო-კონცერტი, რომელიც საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გულნარა ქართველიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის 25-ე წლისთავს მიეძღვნა.

საღამო გახსნა სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა ს. ცინცაძემ. გ. ქართველიშვილის შემოქმედებითი გზა დამსწრეთ გააცნო კონსერვატორიის ვოკალური კათედრის გამგემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, პროფესორმა ნ. ანდღულაძემ.

მეოთხედი საუკუნეა გ. ქართველიშვილი ვოკალურ ხელოვნებას ემსახურება. ამ ხნის განმავლობაში მან არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა აღზარდა და აზიარა საოპერო ხელოვნებას. თვითონ გ. ქართველიშვილი კი გამოჩენილი ქართველი მომღერლის სანდრო ინაშვილის მოსწავლე იყო. პედაგოგიური სტაჟირება მან ბელ-კანტოს სამშობლოში — იტალიაში გაიარა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს გ. ქართველიშვილის აღზრდილებმა და აღსაზრდელებმა — მისი კლასის სტუდენტებმა. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტს ც. ტატიშვილს, რომელმაც თავი სა პედაგოგის პატივსაცემად შესასრულა ჯოკონდას არია პონკიელის ოპერიდან „ჯოკონდა“.

საერთო მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა მომღერლის მ. თოიძის სიმღერამ; იგი ამჟამად წარმატებით გადის სტაჟირებას მოსკოვის დიდ თეატრში. სასიამოვნო იყო ახალბედა მომღერლების ნ. გლუნჩაძისა და დ. ომბაძის დებუტი ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“ და ღვაწლმოსილი პედაგოგის სხვა აღსაზრდელთა გამოსვლა.

ნ. მამისაშვილი,

მუსიკისმცოდნე.

ყმაწვილების საყვარელი კერა

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს ნახევარი საუკუნე შეუსრულდა

დიდ დარბაზში მოწყობილია საიუბილეო გამოფენა. /რას არ გაუტაცია ყმაწვილის ცნობისმოყვარე გონება?! აქ დიდ სტელაჟებზე ნახავთ თვითმფრინავებისა და ხომალდების, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების მოდელებს, სხვადასხვა რადიოსპორტულ აპარატურას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და ელექტრონიკას, ნორჩ ქიმიკოსთა მხატვრულ ნაკეთობათა ექსპონატებს და, რა თქმა უნდა, კოსმოსისადმი მიძღვნილ კუთხეს — თანამგზავრების მოდელებს და თვითორი კოსმოსური ხომალდის შეპირაპირების მოქმედ მოდელს.

აი უკვე ნახევარი საუკუნეა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნისადმი სიყვარულს უნერგავს ბავშვებს.

აკაკი წერეთლის პროსპექტზე სამსართულიანი შენობის ნათელ და მყუდრო ოთახებში განლაგებულა თორმეტი ლაბორატორია, სადაც საინტერესო მუშაობა მიმდინარეობს. ბავშვები არა მარტო აპროექტებენ და აგებენ მოქმედ მოდელებსა და მექანიზმებს, არამედ ეცნობიან კიდეც მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიას და თანამედროვე მიღწევებს. ნორჩ ფიზიკოსთა და ენერგოტექნიკოსთა მარჯვე ხელით შექმნილი მოდელებისა და ხელსაწყოების უმრავლესობას ფართოდ იყენებენ რესპუბლიკის სკოლების მუშაობის პრაქტიკაში. მარტო უკანასკნელი წლის მანძილზე ნორჩმა ტექნიკოსებმა სასკოლო კაბინეტისათვის 650 მოქმედი მოდელი დაამზადეს.

ნახევარი საუკუნის მანძილზე სადგურში ტექნიკურად მომზადდა 50 ათასზე მეტი მოსწავლე. ბევრმა მისმა აღზრდილმა აქ მიიღო ცხოვრების საგზური, აქ მიაგნო თავის მოწოდებას — ისინი მეცნიერები, ინჟინრები და კონსტრუქტორები გახდნენ. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ ბეთანელი, დოცენტები ავთანდილ კვიტაშვილი და თემურ კუპატაძე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატები თამაზ სიხარულიძე და კიმი კოკელაძე, რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებელი ლაკონი ხუროძე. ეს სია შეგვიძლია განვაგრძოთ...

სადგურის აღსაზრდელნი ხშირად დადიან თბილისის წამყვან საწარმოებში და სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში, სადაც ხვდებიან წარმოების მოწინავეებსა და მეცნიერებს. თავის მხრივ მეცნიერებიც ხშირად ესტუმრებიან ხოლმე სადგურს, სადაც ლექციებს უკითხავენ ახალი ტექნიკის საკითხებზე.

სადგურში დიდი საინსტრუქციო-მეთოდიკური მუშაობა წარმოებს. ეწყობა კონსულტაციები სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის, აქ ამზადებენ და გამოსცემენ ლიტერატურას ტექნიკური პროპაგანდის სულ სხვადასხვა საკითხებზე.

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს იცნობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ნორჩ ტექნიკოსთა მხატვრული ნაკეთობანი ექსპონირებული იყო ნიუ-იორკის ბავშვთა შემოქმედების მსოფლიო გამოფენაზე და ქების სიგელი დაიმსახურა. ფართოდ იყო წარმოდგენილი ნორჩ თბილისელთა ნამუშევრები სსრ კავშირის ბავშვთა შემოქმედების გამოფენაზე ქოლანდიაში.

ფართოვდება ნორჩ რადისტთა საერთაშორისო ურთიერთობა. რადიოსპორტული სპეციის წევრებმა ორმხრივი კავშირი დაამყარეს მსოფლიოს 130 ქვეყნის რადიომოყვარულებთან.

აი უკვე მრავალი წელია სადგურის კოლექტივი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში მონაწილეობს. მან საპატიო დიპლომი და ცხრამეტი პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა, ბევრმა პედაგოგმა და მოსწავლემ ოქროსა და ვერცხლის მედალი მიიღო. ამჟამად სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ექსპონირებულია სადგურის აღსაზრდელთა მიერ დამზადებული მოდელები და აპარატურა რადიო-ელექტრონიკის დარგში.

დიდი მადლობის ღირსნი არიან სადგურის მასწავლებლები და ლაბორატორიათა ხელმძღვანელები იმ დიდი შრომისათვის, რომელსაც ისინი ეწევიან ჩვენი ბავშვების აღსაზრდელად, როცა მათ მეცნიერებისა და ტექნიკისადმი სიყვარულს უნერგავენ.

ვლ. გინზბურგი.

სურათებზე: *რადიო-სპორტულ ლაბორატორიაში მეცადინეობის დროს; 102-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ალექსანდრე გოგიაშვილი მოკლეტალღიანი რადიოგადამცემის აწყობის დროს.*

ავტორის ფოტო.

ინფორმაცია—80

შენდება წყალსადენი

ტყიბული. (საკ. კორ.). ნაქერალას მაღალი ქედიდან ხულ უფრო შორს მიიწევს ფოლადის ფართოკვეთიანი არტერია.

ამ დღეებში მშენებლებმა უკვე დაამთავრეს რვაკილომეტრიანი ტრასის ყველაზე ძნელ უბანზე შრომა და ბრიგადამ ახალ სამშენებლო მოედანზე გადაინაცვლა.

მშენებლები ახლა იმას ცდილობენ, რომ ხრესილელ კოლმეურნეთა საოჯახო ონკანებიდან წყაროს ანკარა წყალმა დენა დაიწყოს სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღეს.

ვ. ცირეკიძე.

გამსვლელი სესია

ამ დღეებში აკადემიკოს გ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ფოთში მოაწყო საარაოთთაშორისო გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული სესია, რომელიც ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ფოთის, ცხაკაიას, აბაშის, ზუგდიდისა და სხვა ახლომდებარე რაიონების პრაქტიკოსი ექიმები.

მოხსენებები წაიკითხეს ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა გ. კეკელიძემ, პროფესორმა ა. აბესაძემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებმა ზ. რობაქიძემ, რ. აბდულელიშვილმა, გ. ხუციშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატებმა ი. ჩიჩუამ, ბ. იაშვილმა, რ. კრავეშვილმა, ვ. ჩხაიძემ და სხვ.

სესიის რეკომენდაციები და დასკვნები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს.

ს. გურიელი.

დღე ერთია, საზრუნავი—ათასი

კეთილი სახელი დაიმკვიდრეს სოფლად გარდაბნის რაიონის დიდი ლილოს სადაბო საბჭოს კომუნალურ საწარმოთა კომბინატის მუშაკებმა. არც ისე დიდი ხნის წინათ შექმნილმა ამ სამსახურმა უკვე დაატყო ხელი საბჭოთა მეურნეობის, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებსა და ეზო-გარემოს.

უკანასკნელ ხანს კომბინატმა დიდი სამსახური გაუწია სოფლის მოსწავლეებს — ლილოს საშუალო სკოლის შენობაში გაიყვანა ბუნებრივი გაზი და დაამონტაჟა ყველა საჭირო მოწყობილობა. ასევე მოაწესრიგა სოფლის განათება, პატარა ლილოში სასმელი წყალი გაიყვანა, ორშენა მეორე, ახალი წყალსაცავი და სხვა. საწარმომ ათი თვის გეგმა გადაჭარბებით — 114 პროცენტით შეასრულა.

ახლა ამ სოფლის მკვიდრთ თავიანთი ყოფა-ცხოვრება ვერც წარმოუდგენიათ კომუნალური მომსახურების გარეშე. ახლო-მახლო სოფლებში სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებენ კომბინატის მოწინავე მშრომელებს ოთარ მარღოშვილს, გოზალ თეკოიანსა და სხვებს.

დღე ერთია და, კომუნალური მეურნეობის კომბინატის მუშაკებს ათასი საზრუნავი აქვთ. ამ საზრუნავს ისინი პირნათლად ასრულებენ თავს.

თ. გიორგაძე.

ნაკრები გაემგზავრა

22 ნოემბერს მადრიდს გაემგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები. საბჭოთა სპორტსმენები მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ამხანაგურ მატჩს გამართავენ, შემდეგ კი ბრაზილიასა და არგენტინას ესტუმრებიან. ისინი ბრაზილიაში ორ შეხვედრას მოაწყობენ, ხოლო არგენტინაში — სამს. გუნდი ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: **მეკარეები** — დასაიევი („სპარტაკი“) და ჩანოვი („შახტიორი“); **მცველები** — სულაქველიძე, ჩიგაძე (ორივე — თბილისის „დინამო“), კაპლუნი (კიევის „დინამო“), რომანცევი („სპარტაკი“) და ბუბნოვი (მოსკოვის „დინამო“); **ნახევარმცველები**—შავლო, ჩერენკოვი, გავრილოვი (სამივე „სპარტაკი“), ტარხანოვი (ცსკა), პონომარიოვი („ნეფთჩი“), ოჰანესიანი („არარატი“), ბურიაკი (კიევის „დინამო“); **თავდამსხმელები** — შვეცოვი („ზენიტი“) და ანდრეევი (როსტოვის ასკ).

ოღიმპიადა, ოღიმპიადა...

მალტის დედაქალაქ ვალეტაში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გაიმართა მესამე და მეოთხე ტურის შეხვედრები. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა მესამე ტურში დაამარცხა ავსტრიის გუნდი — 3,5:0,5, ხოლო მეოთხეში —იუგოსლავთა ნაკრები—2,5:1:5. სსრ კავშირის ქალთა გუნდი მოულოდნელად დამარცხდა ბულგარელებთან — 1:2. მომდევნო შეხვედრაში საბჭოთა ქალებმა იმარჯვეს. მათ დაამარცხეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლები — 2:1. მაია ჩიბურდანიძემ მოუგო ფიშდიკს, ნანა იოსელიანმა — ხუნდს, ნონა გაფრინდაშვილი დამარცხდა ხუნდის დასთან შეხვედრაში.

ვაჟთა შორის ლიდერობენ უნგრელები — 13 ქულა. სსრ კავშირისა და ინგლისის გუნდებს 12-12 ქულა აქვთ. ქალთა შორისაც უნგრელები დაწინაურდნენ — 10,5 ქულა. საბჭოთა მოჭადრაკეებს 9 ქულა აქვთ.



ლიდერთა შორის

ლიტვის ქალაქ შიაულიაიში დაიწყო უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ეტაპი. სსპარტაობის პირველ დღეს თბილისის „ქართველამ“ დაამარცხა ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი — 25:19 (11:10), დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ცსკა-რიგის „ელექტონექსი“ — 26:24, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი-ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“ — 26:17, კაუნასის „გრანიტასი“-მოსკოვის „კუნცევო“ — 30:27, მინსკის ასკ-ლვოვის ასკ — 28:21, კიევის ასკ-კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი — 30:26.

დაუმარცხებლად ბრძოლის პირველობისთვის ცსკა, რომელმაც 6 შეხვედრიდან ქულათა მაქსიმუმი (12) დააგროვა. ლიდერთა შორის არიან „გრანიტასი“ (10 ქულა), თბილისის „ქართველა“ და მინსკის არმიელთა გუნდი (8-8 ქულა).

მეხუთეზე

მოსკოვში დამთავრდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების 36-ე საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირი. ასპარეზობის ბოლო დღეს მოსკოვის „დინამოსა“ და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის წყალბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 7:7. ალმა-ათის დინამოელებმა სძლიეს კასპის წითელდროშოვანი ფლოტილიის ბაქოელთა კოლექტივს — 11:7. მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა ასეთივე ანგარიშით მოუგო თბილისის „დინამოს“.

პირველ ექვსეულში გუნდები ასე განაწილდნენ: 1. სსფ ცსკ — 25 ქულა, 2. მოსკოვის უნივერსიტეტი — 21, 3. ალმა-ათის „დინამო“ — 21, 4. კფფ — 20, 5. თბილისის „დინამო“ — 18, 6. მოსკოვის „დინამო“ — 17 ქულა.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

ფელეტონი

სტუმრად „ბიოდენთან“

რამდენიმე ინტერვიუ ერაკიერად საკითხზე

— **მითხარით,** გეთაყვა, ასე შორიდან აქ რამ ჩამოგიყვანათ?

— მოგახსენებთ. ჩვენთან, ქერჩში ხმა დაირხა, ვისაც მარილების დაგროვება აწუხებს, საქართველოში, ამა და ამ სოფელში მცხოვრებ „ბიოდენს“ მიაკითხოსო.

— თქვენ საიდანღა ბრძანდებით?

— მე სიმფეროპოლიდან მოვდივარ. ბოლო დროს ასთმური შეტევები დამჩემდა. მისამართი მეზობლის ქალმა მომცა... თავად საიდან იცოდა? როსტოვის აეროპორტში თვითმფრინავს რომ ელოდებოდა, ვიღაცეების საუბრისათვის მოუკრავს ყური. ჰოდა, მისამართიც იქ ჩაუწერია.

— ერევნიდან საკუთარი მანქანით ჩამოვედი, მგზავრობა არ გამჭირვებია...

ასე და ამგვარად რუსეთიდან, ბელორუსიიდან, საქართველოს ქალაქებიდან ჩამოსულები დგანან და ელიან. ოდნავ ჩაბნელებულ ოთახში „ბიოდენი“ ზის და გამალებით „მკურნალობს“ მომსვლელთა ჯიბეებს.

ათწუთიანი სეანსი — ათი მანეთი. სეანსი მარტივია, თუმცა ზოგიერთი დოყლაპიასათვის ფრიად შთამბეჭდავი: „ბიოდენი“ ხელს შებლზე ადებს პაციენტს, რომელიც მთელ სხეულში რაღაც განსაკუთრებულ „გამოსხივებას“ შეიგრძნობს და ავადმყოფობა ორიოდე სეანსის შემდეგ საბოლოოდ „განიკურნება“.

ჩემს მეგობარს, ვისთანაც ერთად „ექსტრასეანსზე“ მივედი, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება ტაბლეტი ათმანეთიანად დაუჯდა.

დადგა ჩემი ჯერიც.